№ 65
კვირა, 1 მაისი

1877—1905

№ 65
კვირა, 1 მაისი

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილადან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа“.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯაჯანაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 2—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ქიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

იმყოფება: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს ექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. Тел.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზის (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ბძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

მუშა-ხალხი და კანონმდებლობა რუსეთში

მუშა-ხალხი, როგორც ყოველი ადამიანი, ცდილობს, რასაკვირველია, გაიუმჯობესოს მდგომარეობა,—ეს სურვილი კანონიერია და არავის არა აქვს უფლება ამ სურვილის განსახორციელებლად საჭირო საშუალება მოუსპოს მუშებს.

პატრონი, მექარხნეც ხომ მოგების გულისთვის მასთან მომუშავე ხალხს ავიწროვებს, ქირას უკლებს, ხშირად ჯანმრთელობისთვის მავნებელ პირობებში აყენებს და მუშა-ხალხიც ცდილობს შეებრძოლოს პატრონების გაუმაძღრობას,—უკავშირდება ერთმანეთს, გაფიცვას ახდენს, მუშათა შესახები კანონმდებლობა შემოაქვს სახელმწიფოში.

მთავრობას არა აქვს უფლება გულგრილად უყუროს ერთის დაჩაგვრას მეორისაგან და ამიტომაც ყველგან, საზღვარ გარეთის სხვადასხვა სახელმწიფოში, მთავრობა ერევა მუშების დამოკიდებულებაში მექარხნესთან და ცდილობს შეამციროს ან მოსპოს ერთმანეთის დაჩაგვრა.

რუსეთში, სადაც სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში არ იღებს არავითარ მონაწილეობას რუსეთის ხალხი, მთავრობა მაინც იძულებული გამხდარა მიექცია ყურადღება მუშა-ხალხის მდგომარეობისათვის და ამ მიზნით არა ერთი და ორი კანონია კიდეც გამოცემული. 1838 წ. აქეთ თითქმის ერთი წელიწადიც არ გავა ისე, რომ მუშათა მდგომარეობის რომელიმე კანონი არ გამოეცა მთავრობას. 1882 წ. აიკრძალა მცირე წლოვანთა აყვანა მუშად, 1885 წ. აიკრძალა ზოგიერთ ქარხნებში ქალების მუშაობა ღამ-ღამეობით, შემდეგ ხომ ეს აკრძალვა საერთო შეიქმნა. 1887 წ. მთავრობამ სამუშაო დროც განსაზღვრა რუსეთში...

მაგრამ რა სარგებლობა მოიტანა კანონმდებლობამ? განსაკუთრებული საქარხნო ინსპექცია იქმნა შემოღებული თვალ-ყურის სადევნებლად, რომ მუშათა შესახები კანონი ყოველგან სრულდებოდეს სასტიკად, მუშათა ინტერესების დასაცველადაც...

მაგრამ ეს კანონები, მექარხნეთა სარგებლობის სურვილით გამოწვეული, ყველასაგან აუსრულებელი რჩებოდა და საქარხნო ინსპექცია, გაბატონებულ ჯგუფთა პირმშო შვილი, იმავე სურვილებით და იდეალებით გამსჭვალული გამოდგა, რომელსაც ადგნენ მექარხნეები და თვითონ მთავრობა.

1890 წ. მექარხნეებმა ხომ ითხოვეს მთავრობასთან,—უთუოდ უნდა ვამუშაოთო ბავშვები: „ცოდონი არიანო, შინ უპატრონოდ რჩებიან და სჯობია, იარონ საქმეზე და დედმამასაც შეჰმატონ რამეო?“

ასეთი მზრუნველობა, რასაკვირველია, ვერაფერ სარგებლობას მოუტანდა მუშა-ხალხს და სწორედ ასეთი მზრუნველი საქარხნო ინსპექციაც გამოდგა.

მართლაც ის ინსპექცია ყოველთვის მექარხნესაკენ იყო, ცდილობდა არ შეემჩნია მექარხნისაგან კანონის დარღვევა, ოქმებს არ ადგენდა, სასამართლოში არ აძლევდა კანონის დამრღვევს.

ამის გამო მუშები იძულებული შეიქმნენ მიემართათ სხვა ზომისთვის და დაიწყეს გაფიცვა იქ, სადაც სხვა საშუალებით მათ კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელი შეიქმნა.

მაგრამ ამ გაფიცვის წინაამდეგი შეიქმნა ბიუროკრატია. პოლიცია ციხეში გზავნიდა გაფიცულებს, რომელთაც მთავრობის წინაამდეგობასაც აბრალებდა, მუშა-ხალხის გამოფხიზლება საწყენად მიაჩნდა.

მართალიც იყო... მართალი იმიტომ, რომ მუშათა ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობას უთუოდ მოჰყვება ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობა ხალხში. გათვითცნობიერებული, მეტ მოთხოვნილების პატრონი, უფრო განათლებული ხალხი ვერ შეურიგდება ამ წყობილებას და ერთმანეთის დაჩაგვრას და ამით მოეღება ბოლო ბიუროკრატიას, რომელიც მუშა ხალხთან ბრძოლით მხოლოდ თავის თავს იცავს...

კ. ს.

კავშირი რუსეთის წინააღმდეგ

ერთის წლის წინად მთელი ქვეყანა დარწმუნებული იყო, რომ რუსეთს ფულის დაუშრეტელი წყარო აქვს, რომ რუსეთი უძლეველი სახელმწიფოა და, თუ საჭირო იქნება, ერთსა და იმავე დროს ომს ორივე მხარეს—აღმოსავლეთისკენაც და დასავლეთისაკენაც—გაუძლებსო. იაპონიამ დაამტკიცა, რომ რუსეთის მხედრობა მხოლოდ ბიუროკრატების ანგარიშით იყო ძლიერი. ერის სიღარიბე, სიბნელე და ბიუროკრატიის თვითნებობა—აი, ამაზე იყო აშენებული რუსეთის ძალა, რომელიც გარეგნობით მართლა ძლიერი სჩანდა, მაგრამ როდესაც იგი ნამდვილ ძალას შეეჯახა, ადვილად დაინგრა და მისი უვარგისობაც აშკარა შეიქმნა.

ახლა ჯერ ომი არ დასრულებულა და რუსეთს ახალი უბედურება მოელის. ამას, რასაკვირველია, ჯერ ვერ ხედავენ რუსეთის ბიუროკრატები, მერე კი, როცა ქარიშხალი ატყდება, ბიუროკრატია თავის გამართლებას დაიწყებს: „არ ვიცოდი... არ მოველოდი... ვერაგულად დაიწყესო“ და სხვა.

ახალი ქარიშხალი იაპონიასთან შერიგების დროს ამოვარდება.

ცხადია, რომ ზავის პირობების დასაწერად ევროპა და ამერიკა საერთაშორისო კონფერენციას მოინდომებენ. რუსეთის ფლოტმა ადმირალი ტოგოც რომ დაამარცხოს, რუსეთის ბიუროკრატია მაშინაც ვერ მოახერხებს და კონფერენციის მოწვევას წინ ვერ აღუდგება. უცხოეთის გაზეთებში ეხლავე სწერენ, ევროპა, თუ დატყო, რომ რუსეთის ფლოტი იმარჯვებს, მაშინვე კონფერენციას მოიწვევს და რუსეთს ზავის პირობებს წარუდგენსო.

ამ კონფერენციაში რუსეთის მეგობარი დიდი არავინ იქნება, უთუოდ.

საფრანგეთს შეეშინდა, ვაი თუ რუსეთმა, როგორც მოკავშირე სახელმწიფომ, ომში ჩამითრიოს და იაპონიასთან გადამკიდოსო, და ამიტომ საჩქაროდ დაუკავშირდა ინგლისს, რომელიც, თავის მხრით, იაპონიასთან არის დაკავშირებული. ამას ის მოჰყვა, რომ ცოტა ხნის შემდეგ საფრანგეთმა რუსეთს ფულის სესხებაზე უარი განუცხადა.

საფრანგეთმა ინგლისს მაროკოს პროტექტორობა აღიარებინა. გერმანიის იმპერატორი კი მაროკოში ჩავიდა და გამოაცხადა, მაროკო დამოუკიდებელი სახელმწიფოაო. ცხადია, რომ ამას შემდეგ საფრანგეთს რუსეთის იმედი კი აღარ ექნება, არამედ ინგლისისა. ასე თუ ისე, საფრანგეთი, როგორც ეტყობა, გერმანიას მცირე აზიაში რაღასაც უთმობს, მაროკოში კი, რასაკვირველია, წინანდელ როლს ითამაშებს.

საიდუმლოება არ არის, რომ გერმანიასა და ინგლისს მხოლოდ ის უნდათ, რუსეთისა და საფრანგეთის კავშირი როგორმე მოსპონ. ამ კავშირის მოსპობა საჭიროა ეხლავე, რაც შეიძლება, მალე, სანამ კონფერენცია მოხდება, რადგან საჭიროა, რომ საფრანგეთმა ხელი არ შეუშალოს ზავის იმ პირობებს, რომელსაც ევროპა რუსეთს უკარნახებს. საფრანგეთი ამჟამად თავის საქმეებს უნდება და რუსეთისთვის არა სცალიან; ამიტომ, უეჭველია, ევროპას მიემხრობა, თუმცა სიტყვით ისევ რუსეთის მოკავშირედ დარჩება. ჯერჯერობით ევროპამ საჩქაროდ შეადგინა გეგმა რუსეთ-საფრანგეთ-ინგლის-იაპონიის კავშირისა, რომელიც, როგორც ევროპიელები ირწმუნებიან, რუსეთს დიდ სარგებლობას მოუტანს.

ევროპა რუსეთის ბედის გადაწყვეტას აპირობს და თვითონ რუსეთს კი არაფერს ეკითხება. ასეთი მეგობრობა მუქარაზედაც მეტია...

რას დაუყენებს წინ მომავალს კონფერენციაზე ევროპა-ამერიკის კავშირს რუსეთის ბიუროკრატია? (ს. ო.).

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა საგენტოებისაგან)

29 აპრილი.

ტვერი. 29 აპრილი. ქალაქის მოურავად არჩეულ იქმნა ვაჭარი ზნამენსკი. საგლეხო კანონმდებლობის პროექტთა გადამსინჯველ კომიტეტმა საჭიროდ სცნო გლეხების შესახებ სისხლის სამართლის საქმეები საზოგადო სასამართლოებს გარდაეცეს.

ლონდონი. გაზეთები არჩევენ ბალფურის გუშინდელ განცხადებას და ზოგს მოსწონს იგი, ზოგი კი წინააღმდეგია. „ივნინგ-პოსტ“-ი ამბობს, ბალფურს უნდა, ავღანისტანის ჩრდილოეთ საზღვრების შესახებ რუსეთის მიერ ყოველ დარღვევაში, ომის მიზეზი აღმოჩნდეს.

კიევი, 29 აპრილი. ოთხი გაზეთის ასოთ-ამწყობთა და გაზეთების თანამშრომელთა კრებამ დაადგინა: კვირა-უქმე დღეს დასვენება მოითხოვონ, მხოლოდ იმ პირობით, რომ არავინ მათგანმა მატერიალურად არ იზარალოს.

პეტერბურგი, 29 აპრილი. სტატს-სეკრეტარ კოკოვცევის კომისიის პირველი სხდომა მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ 16 მაისს იქმნება. ამ სხდომაზე მოწვეულ იქმნებიან სავაჭრო-სამრეწველოთა წარმომადგენელნიც.

ჰელსინგფორსი, 29 აპრილი. განსვენებულ იონსონის მაგივრად ფინლიანდიის სენატის პროკურორად დაინიშნა ბარონი ფონ-ტელლენსი, გაზეთის ყოფილი რედაქტორი.

როსტოვი-დონზე, 29 აპრილი. დილით გაიფიცნენ წყლის ნაპირების მუშები და თხოულობენ მუშაობაზე შემუშავებულ ნიხრის დამტკიცებას. საბირჟო კომიტეტმა, პურით მოვაჭრე ექსპორტერებთან ბჭობის შემდეგ, ნიხრი მიიღო. გემებს უფროსებმა მოთხოვნილებანი წარადგინეს და გაფიცვას იმუქრებიან. საზოგადო გაფიცვას ელიან 1 მაისს.

თეირანი, 29 აპრილი. წარსულ კვირას, თეირანში ხოლერით სამი კაცი გახდა ავად და სამივე გარდაიცვალა.

ენზელი, 29 აპრილი. შაჰის მოგზაურობის გამო, გზატკეცილზე თხუთმეტი დღით საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვა შესწყდა.

მოსკოვი. 4 მაისს მანჯურიიდან დაბრუნდება გზათა მინისტრი და ერთს დღე და ღამეს დარჩება.

კრემენჩუგი, 29 აპრილი. 18 თებერვლის რესკრიპტის ძალით ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა, აღძრას შუამდგომლობა ქალაქის საჭიროებათა შესახებ.

ჟიტომირი, 28 აპრილი. ებრაელთა წინააღმდეგ მოძრაობამ ახლო-მახლო ადგილებშიაც იჩინა თავი. ურთიერთ შორის დამოკიდებულება მწვავდება. ხოცვა-ჟლეტამ ხალხი ძალზე გახრწნა. ძნელია ითქვას, ხალხი სრულიად როდის დამშვიდდება.

პეტერბურგი, 29 აპრილი. ოფიციალური. შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორთა მიმართ გამოსცა ცირკულიარი, რომელიც სამკურნალო მმართველობას შეეხება. შინაგან საქმეთა სამინისტროში დღემდე მრავალი შუამდგომლობა იქმნა აღძრული იმის შესახებ, რომ შეცვლილი იქმნას, ან სრულიად გაუქმდეს 1903 წლის, 2 აგვისტოს, უმაღლესად დამტკიცებული წესები, რომლებითაც მკურნალებმა უნდა იხელმძღვანელონ ხოლერის, ან შავი ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების დროსა. საგუბერნიო და სამაზრო ერობანი და ქალაქები, რომელნიც წესების შეცვლას თხოულობენ, ისინი საბუთად მოჰყავთ ის, რომ ეს წესები თვით-მოქმედებას გვისპობენო. მინისტრის აზრით, ეს მართალი არ არის. ამიტომ მინისტრი სთხოვს გუბერნატორებს, აცნობეთ ერობათა და ქალაქებს, რომ მათი შუამდგომლობა იმ დრომდე არ იქნება დაკმაყოფილებული, ვიდრე შეურყეველის საბუთებით არ დაამტკიცებენ 1903 წლის წესების უვარგისობასაო.

ლონდონი, 19 აპრილი. აქაურმა კორეელმა წარმომადგენელმა იხსნიუნგმა თავი ჩამოიხრჩო კორეის საელჩოს სადგომში.

თავრიზი, 29 აპრილი. ქალაქში გაფიცვა არის, მესამე დღეა პური აღარ იცხობა. გუშინ ბანკის გამგეობას უნდოდა მოსამსახურე პირთათვის ეშოვნა საჭმელი. ბანკის გამგე რუსეთის კონსულთან იყო, გუბერნატორსაც მისცა წინადადება, ბანკის დახმარებით მოაწყვეთ ქალაქში პურის ვაჭრობის საქმეო, მაგრამ უარი მიიღო. მეორე ბანკის გამგემ განაცხადა, სხვა ქალაქში გადავიტან ბანკს, თუ არ მოისპო შფოთიანობაო. მთავრობა დაჰპირდა რუსეთის კონსულს, ცალკე ფურნეს მოვაწყობთო. ბანკს დღეში ერთ ფუთ პურს აძლევენ, ათი ფუთი კი არის საჭირო. საღამოს კიდევ რვა ფუთი გამოუგზავნეს.

ლონდონი, 29 აპრილი. ოფიციალურად აცხადებენ, რომ საფრანგეთის ფლოტი 20 ივლისიდან 31 ივლისამდე პორტსმუტში დარჩება.

ბერნი. მუშათა დამცველმა საერთაშორისო კონფერენციამ საჭიროდ სცნო ფოსფორის აკრძალვა ასანთის წარმოებაში.

სოფია, 29 აპრილი. ობსტრუქციის გამო ხელახლად შესწყდა ლექციების კითხვა უნივერსიტეტში.

მოსკოვი, 29 აპრილი. საგუბერნიო მარშლების კრება დასრულდა. გადაწყვეტილებას ჯერ საიდუმლოდ ინახავენ. დღეს მოსკოვის სასტუმროში ადგილობრივ გაზეთების გამომცემელთა კრება შესდგა ორშაბათობით გაზეთების გამოუცემლობის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

ყაზანი, 29 აპრილი. საბეითალო ინსტიტუტის დირექტორი აცხადებს, უკანასკნელი განცხადება 10 მაისს დაიწყებაო.

ჟიტომირი, 29 აპრილი. ხალხი დაწყნარდა იმის გამო, რომ სამხედრო წესები გამოცხადდა ქალაქში.

ვლადიკავკაზი, 29 აპრილი. საქართველოს სამხედრო გზაზე მეეტლეებმა ჯამაგირების მომატება მოითხოვეს. მათთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა ერთი მოხელე.

კოვნო, 29 აპრილი. დაბა ბელში, ნოვო-ალექსანდროვის მაზრაში, ერთმა ძველ-მორწმუნემ დანით მძიმედ დასჭრა ბოქაული, რომელსაც უნდა დაეჭირა მეორე ძველ-მორწმუნე, რადგან ის უწესოებას ახდენდა ერთის ებრაელის დუქანში.

ლიბავა, 29 აპრილი. ოთხშაბათს ლიბავო-რომნენის რკინის გზის სახელოსნოების 800 მუშა გაიფიცა და მუშაობაზე ხელი აიღო. გუშინ სახალხო და საფოსტო მატარებლები ვეღარ გაგზავნეს. მუშებმა სადგურიდან ერთი ვერსის მანძილზე საქონლის მატარებელი გააჩერეს და ამით მიმოსვლა შესწყვიტეს. გაფიცვა არ შეწყვეტილა. დღეს მატარებლების მიმოსვლა შესწყდა.

ლოძი, 29 აპრილი. პოლიციამ შეიპყრო ხუთი დამნაშავე, რომელთაც პოლიციის საიდუმლო აგენტის მკვლელობაში მონაწილეობა ბრალდებათ. გაიფიცნენ დარაჯნი და მრეცხავი ქალები, რომლებიც ფასების მომატებას თხოულობენ.

რიგა, 29 აპრილი. ნავთ-სადგურის ყველა გემების მუშების გაფიცვა ისევ დაიწყეს, თხოულობენ დღიურ ქირის მომატებას.

სარატოვი, 29 აპრილი. პოკროვსკის სლობოდაში მხერხავ ქარხნების 500-ზე მეტი მუშა გაიფიცა და პატრონებს მოსთხოვა 35 პროცენტის დღიურ ქირაზე მომატება და ქარხნებში მუშათა რიცხვის გამრავლება. მექარხნეებმა, ორის ქარხნის გარდა, მუშების მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს. 28 აპრილს მუშაობას შეუდგნენ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

29 აპრილი.

ნანკინი. ენერგიულის პოლიტიკის მეოხებით, გერმანიამ ფლოტის საჭიროებისათვის კონცესიით ერთი ნაჭერი მიწა შეიძინა, სადაც გერმანიის დროშა ააფრიალეს. ეს დროშა ჩინელებს ძალიან აჯავრებს.

ტოკიო. საფრანგეთის ნეიტრალიტეტის შესახები საკითხი ახლა უფრო თანდათან მწვავდება. საეჭვოა, რომ საფრანგეთი სავსებით ჰგრძნობდეს ამ განსაცდელს და ცდილობდეს მისს საჩქაროდ თავიდან აცილებას. გაზეთი „შიმბო“ პირდაპირის გადაჭრით აცხადებს, რომ იაპონიის მოთმინების ძაფი, საცაა, გაუწყდებაო და, თუ საფრანგეთი დაუყოვნებლივ არ იღებს ზომებს და ამით რუსეთს დამატებით შეღავათებს აძლევს, მაშინ სხვა აღარა დაგვრჩენია-რა, რომ ჩვენს მოკავშირე ინგლისს მოვსთხოვოთ აასრულოს ჩვენთან ხელშეკრულობის პირობანიო.

პარიჟი. პალატის კრების დაწყებისათანავე სოციალისტთა დეპუტატი დელკასეს შეეკითხება, რა ზომები მიიღო საფრანგეთმა მაროკოში მშვიდობიანობის უზრუნველ-საყოფელად და შორეულ აღმოსავლეთში ნეიტრალიტეტის დაცვისათვისაო. საფრანგეთის ნეიტრალიტეტის შესახები „ყვითელი წიგნი“ ამ ათის დღის შემდეგ გამოვა. ამ წიგნში გამოცხადებული იქნება ყველა ის საბუთის ქაღალდები, რომელიც დაამტკიცებს, რომ საფრანგეთმა არამც თუ სასტიკად დაიცვა ნეიტრალიტეტის წესები, არამედ კიდევაც გადააჭარბა, რადგანაც აიძულა როჟესტვენსკის არ ესარგებლნა დადგენილ წესდების ზოგიერთ მუხლებითაო. „ყვითელი წიგნი“ დაამტკიცებს, რომ რუსეთის ესკადრას საფრანგეთის წყლებში ბაზა არა ჰქონიაო.

ტოკიო, 29 აპრილი. ოფიციალური მოხსენება. 26 აპრილს, დილით, რუსის ერთმა რაზმმა, რომელიც შესდგებოდა ორის პოლკისა, ცხენოსან ჯარის 500 კაცისა და ბატარეისაგან, იერიში მიიტანა იაპონელებზე ხანჩენის ახლოს, თხუთმეტ მილის მანძილზე ნანშანხეცუზიდან და იაპონიის ბანაკისკენ ასი მეტრით წინ წაიწია. შემდეგ იაპონელებმა მიიტანეს იერიში და რუსებს უკან დაახევინეს. რუსებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 60 მოკლული და 160 დაჭრილი. ბევრი მოკლული და დაჭრილები წაიღეს ჩინურ ტანისამოსებში ჩაცმულ ჯარის კაცებმა. ჰფიქრობენ, რუსების ზარალი 300 კაცამდეაო, იაპონელების ზარალი—ერთი მოკლული და 50 დაჭრილი. საფრანგეთის აზრმა ნეიტრალიტეტის შესახებ საზოგადოება ცოტათი დაამშვიდა. პრესსა თხოულობს მთავრობისაგან ენერგიულ მოქმედებას და ამბობს, საფრანგეთმა 20—26 აპრილის ამბების შესახებ ანგარიში უნდა მოგვცესო.

პეტერბურგი, 29 აპრილი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა, 28 აპრილის თარიღით: ჩვენი ერთი რაზმი, სოფელ შიმოიაძიდან ათის ვერსის მანძილზე, უღელ-ტეხილზე შეხვდა მტერს და იძულებული გახდა შიმოიაძისკენ დაიხია. 23 აპრილს მეორე რაზმმა უფანგოუსთან იაპონელებს უკან დაახევინა. როცა დაბინავდა, მტერმა იერიში მიიტანა, საქმე შუბებზე მიდგა, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ. პირველი რაზმი შიმოიაძისთან ომს განაგრძობდა. 24 აპრილს ჩვენი რაზმი უკან-უკან იხევდა. ამ დროს ჩვენი მესამე რაზმი დავანგოულინის უღელტეხილთან მივიდა, მტერს შეხვდა და ამ უღელტეხილის დასაჭერად შეებრძოლა. ჩვენ რაზმზე შიმოიაძისთან 24 აპრილს, შუადღის შემდეგ,

მტერმა მედგარი იერიში მიიტანა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა.

პეტერბურგი. მეორე რანგის კაპიტანი კლადო კრეისერ ,,გრომობოის‘‘ უფროს აფიცრად დაინიშნა.

ტოკიო, 29 აპრილი. რუსეთის ორმა სამხედრო გემმა კუნძულ იედდოსთან გემი ,,ნაგატოკუმარუ“ გააჩერა, გაჩხრიკა და შემდეგ გაანთავისუფლეს. თვითონ მიიმალნენ. ხაკოდატედან იუწყებიან, ეზახიდან მოსული გემი „ეიტოლიმარუ“ ძიუმარის სრუტესთან რუსეთის ორმა გემმა გააჩერაო. ჰფიქრობენ, ეს ორი გემი ,,როსსია‘‘ და ,,გრომობოი‘‘ უნდა ყოფილიყო. გემებმა საბუთების გასინჯვის შემდეგ „ეიტოლიმარუ“ გაანთავისუფლეს.

ჰონგკონგი, 29 აპრილი. ბრიტანიის ნალმიან ტრანსპორტს ,,ჰეკლას‘‘, რომელიც ნავთსადგურ ვანფონგზე ათის მილით იყო დაშორებული რუსეთის მაშველი კრეისერი შეეკითხა: ,,გთხოვთ, გვაცნობოთ, ნახეთ თუ არა რომელიმე სამხედრო გემი‘‘? ,,ჰეკლამ‘‘ უპასუხა: ,,ახალი ამბავი არა არის რა. არა დაგვინახავსრაო‘‘.

ჰონკონგი. წყალქვეშ გაყვანილ ტელეგრაფის მავთულები, რომელიც კუძულ გაინანთან გაიყვანეს, გადაჭრილია.

ნიუ-იორკი. ინგლისისა და ამერიკის საზღვაო გემები ჰონკონგში არიან. შესაძლებელია, რომ ადმირალ როჟესტვენსკიმ საოპერაციო ბაზას იაპონიის წყლებში მოსძებნოს.

ტოკიო. იაპონიის ფლოტის ყოფილი ლეიტენანტი ივასაკი დაიჭირეს 27 აპრილს. ივასაკს ფრანგ კაპიტან ბურგუანთან ერთად ჯაშუშობა ჰბრალდება.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ამერიკისა და გერმანიის გაზეთების კორესპონდენტებმა ერთი გემი დაიქირავეს იმ მიზნით, რომ მომავალ საზღვაო ბრძოლას დაესწრნენ. გემზე საფრანგეთის ბაირაღია აშვებული. იმასაც ამბობენ, ვითომ ეს გემი რუსებისა იყოს, რომელთაც უნდათ გაიგონ, სად იმყოფება ამჟამად ადმირალ ტოგოს ფლოტი (კ.).

ხარბინიდან დეპეშებით იტყობინებიან: გენერალმა ლინევიჩმა კორესპონდენტთან ბაასის დროს სთქვა: „თუ ჯარი მომაშველეს, მე, ღვთის დახმარებით, რაცკი შემიძლიან, გავაკეთებ. ასეა თუ ისე, დარწმუნებული იყავით, რომ რუსეთის ჯარი უკან აღარ დაიწევს“. (ჩ. პ.).

ბიუროკრატია და ომი. მთელი ლიაოდუნი, სამხრეთი მანჯურია, კვანტუნი და პორტ-არტური იაპონელების ხელშია, მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიას ეს არ სცოდნია. პორტ-არტური დეკემბერში აიღეს, იანვარში კი ბიუროკრატიამ ბრძანება გასცა, ესა და ეს მოსამართლე პორტ-არტურის მოსამართლედ ინიშნებაო.

პეტერბურგში დღესაც მუშაობს ერთი კომისია, რომელმაც პორტ-არტური ადმინისტრატიულად უნდა მოაწყოს.

მეორე კომისია იკვლევს, როგორი წეს-წყობილება უნდა დაწესდეს კვანტუნის ნახევარ-კუნძულზე, სამოქალაქო თუ სამხედრო, და სხ.

მაგრამ ყველა ამას ფინანსთა სამინისტრომ გადააჭარბა: სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის წიგნში, რომელიც, ეს არის, ეხლა გამოვიდა, მე-65 გვერდზე სწერია: 1905 წელს კვანტუნის დასაცველად გადაიდო 8,494,580 მან. მე-73 გვერდზე აღნიშნულია, რომ შორეულ აღმოსავლეთის სანამესტნიკოს სხვადასხვა საჭიროებისთვის მიეცემა (1905 წელს) 214,424 მან. გარდა ამისა, შარშან, ომის დასაწყისს, შორეულ-აღმოსავლეთში გლეხთა გადასახლება აკრძალულ იქმნა და ამიტომ რუსეთიდან მანჯურიაში ერთი კაციც არ გადასახლებულა, მაგრამ ამ საქმეზე მაინც დაუხარჯავთ ნახევარი მილიონი მანათი. წელსაც 223,610 მანეთის დახარჯვას აპირობენ. ნამესტნიკი პეტერბურგში ზის, გადასახლებით შორეულ-აღმოსავლეთში ერთი გლეხიც არ გადასახლებულა, გადასახლების საქმეზე კი ამ ერთ წელიწადს მილიონ მანათამდე დაუხარჯავთ. მაგრამ ყველას ისევ საზღვაო სამინისტრომ აჯობა: მე-83 გვერდზე სწერია: პორტ არტურის გასამაგრებლად (ამ წელს) გადაიდო 637,050 მანათი. საზღვაო სამინისტროს ისიც არ ეყო, რომ პორტ-არტურზე 500 მილიონი მანათი დახარჯა და მერე იაპონელებს დაუთმო, არა, ეხლაც აპირობს აუარებელ ფულის დახარჯვას იმ ქალაქზე, რომელიც, იქნება, თვალითაც ველარ ნახოს?

როჟესტვენსკისა და იაპონიის ფლოტები. სხვადასხვა მეზღვაურები დღემდისაც ვერ მორიგებულან და ვერ გადაუწყვეტიათ, ვისი ფლოტი უფრო ძლიერია, ტოგოსი თუ როჟესტვენსკისა. კაპიტანი კლადო ასე ანგარიშობს ორივე ფლოტის ძალას:

გემთა საერთო რიცხვი

	დიდი	პატარა	სულ
ტოგოს ფლოტი	14	19	33
როჟესტვენსკისა.	7	13	20

	ზარბაზნები			წყალრწყვა:
	დიდი	პატარა	სულ	
ტოგ.	277	664	941	216,000 ტონა.
როჟ	161	610	771	120,838 „

როგორც ხედავთ, ტოგოს ფლოტი თითქმის ერთი-ორად ძლიერია. მართალია, როჟესტვენსკის ადმ. ნებოგატოვის ესკადრაც მოემატა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს და ტოგოს ფლოტი მაინც ძლიერია რუსეთის ფლოტზე. უცხოეთის გაზეთები სწერდნენ, ტოგომ რუსეთის ორს ესკადრას შეერთება არ უნდა დაუშალოს, რადგან, სულ ერთია, ამ შეერთებას დიდი მნიშვნელობა არ ექნებაო. ჯერ კიდევ შეერთება შორს იყო, რომ ,,მორნინგ პოსტ‘‘ი სწერდა: ისევ ისა სჯობია, ადმირალი ტოგო თავის თავშესაფარს არ მოშორდეს და ნებოგატოვს როჟესტვენსკისთან შეერთება არ დაუშალოს. სულ ერთია, ამას მნიშვნელობა არ ექნებაო (ბ. ი.)

რუსის არმიის გაჭირვება. მანჯურიიდან დაბრუნებულ კაზაკ პოლკოვნიკს, ბრძოლაში დაჭრილს, უამბნია ,,მატენ‘‘-ის კორესპონდენტისათვის: მანჯურიის არმიას ძლიერ აწუხებს ბევრნაირი უწესოება, მაგრამ ყველაზე მეტად ცნობებისა და გეოგრაფიულ კარტების უქონლობა უჭირვებს საქმეს. ჩემმა კაზაკებმა ერთხელ წაღები დაცვითეს და 1500 წყვილი ახალი წაღა ვითხოვე. უარი მითხრეს, საჭირო არააო. რამდენისამე ხნის შემდეგ ლიაოიანი მივატოვეთ; 500 კაცი გამაგზავნინეს ლიაოიანში საწყობის დასაცველად: ამ საწყობში მილიონი წყვილი წაღა ეწყო. სანამ ცეცხლს წაუკიდებდნენ, ჩემმა კაზაკებმა ახალი წაღები ჩაიცვეს და ახალ წაღებში დაიხოცნენ. ხშირად ორ-ორი დღე ვრჩებოდით მშივრები და თითქმის ვგიჟდებოდით. ამასთანა მარხვის შემდეგ შემთხვევით ვშოულობდით ერთ-ორ ყუთ სუხარს მთელის პოლკისათვის; თანაც ისეთ გამხმარს, ლოდივით მაგარ ,,სუხარს‘‘ ვშოულობდით, რომ სალდათები ჭუჭყიან გუბეებში ალბობდნენ და ისე სჭამდნენ. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა ძლიერაა გაცეცხლებული რუსის არმია იმათზე, ვინც ამ გაჭირვებაში ჩააგდო ჯარი. რა ბედიც უნდა მოელოდეს რუსის არმიას, ომი მაინც უნდა განვაგრძოთო—მერწმუნეთ, სჯობია, რომ ჯარი ისევ მანჯურიაში იყოს, ვიდრე აქ, რუსეთში, დბრუნდეს. (ს.).

მანჯურიაში, როგორც დღევანდელ დეპეშებიდან სჩანს, ბრძოლა განახლებულია. 22 აპრილს რუსების ერთი რაზმი შიმოტიაზის სამხრეთით იაპონელებს შებრძოლებია. რუსებს უკან დაუხევიათ. 23 და 24 აპრილს ბრძოლა განახლებულა. რუსებს ისევ უკან დაუხევიათ. 26 აპრილს რუსებს თვითონ მიუტანიათ იაპონელებზე იერიში ხუნჩენის მახლობლად და ჯერ წინ წაუწევიათ, მაგრამ იაპონელები მოუბრუნდნენ და რუსებზე თვითონაც მიიტანეს იერიში. რუსები დამარცხებულან, უკანვე წამოსულან და ბრძოლის ველზე 60 მოკლული და 160 დაჭრილი დაუტოვებიათ. გარდა ამისა, რუსებს თანაც მრავალი დაჭრილი წამოუყვანიათ. საერთო ზარალი რუსებისა 300 კაცია, იაპონელებისა —51 კაცი, მათ შორის მხოლოდ ერთია მოკლული.

ძნელი სათქმელია, კერძო შეტაკება იყო ესა, თუ დასაწყისი ახალ ბრძოლისა, რომელსაც დღედღეზე ელიან (რ.).

ახალი ამბავი

◆ **სოფ. ეწერი** (ქუთაისის მაზრა). სამშაბათს 20 აპრილს, 5 **ათასამდე კაცმა მოიყარა თავი** და თავისს საჭიროებაზე მოილაპარაკეს. პოლიციას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ხალხი მღერით და დროშებით თავთავიანთ სახლებში წავიდა.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა გზათა მინისტრისაგან ბრძანება მიიღო—ზაბაიკალის რკინის გზაზე დაუყოვნებლივ გაგზავნოს სადგურის უფროსის ორი გამოცდილი თანაშემწე და 5 მეისრე.

◆ გროზნას მიდამოებში მცხოვრებნი **ჩაჩნები მეტად ღელავენ თურმე.** მიზეზები ამისა ის გარემოებაა, რომ ვოზდვიჟენსკის სლობოდის მცხოვრებლებმა 22 აპრილს მოჰკლეს ორი ჩაჩანი, რომლებიც მინდორში მუშაობდნენ.

◆ ერევანში, 11 აპრილს 17, **ბერდანის თოფი და ექვსი ათასი პატრონა მოუპარავთ** (რ. ვ.).

◆ პოლტავაში დეპეშა მიუღიათ, სანამ კავკასიაში მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება, იმიერ კავკასიაში **გლეხთა გადასახლება შეაჩერეთო.** (რ. სლ.).

◆ ტფილისის მაზრის, სართიჭალის ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა ობოლენსკიმ ტფილისის მაზრის სასამართლოს შეატყობინა, რადგან **ხალხი აღელვებულია და თავისი სასამართლო გაიჩინაო,** სოფლებს ნინოწმინდას, მანავს, საგარეჯოს, პატარძეულ-ბერთუბანსა და სხ. ამას შემდეგ **უწყებებს ნუღარ გამოუგზავნითო.**

◆ ტფილისის მაზრის ბოქაულ ტანენბერგისთვის პრიუტისა და ახლო-მახლო **სოფლელებს გამოუცხადებიათ, თავი დაგვანებეთ** და წადით აქედან, თორემ ამის მეტს აღარ შეგვიძლიანო. ტანენბერგს ტფილისში **კაზაკები უთხოვნია.**

◆ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, **ახალგაზრდა ქართველ მსახიობთ განუზრახავთ შეადგინონ პატარა ჯგუფი** და ვეტცელის თეატრში სახალხო წარმოდგენები ჰმართონ. პირველ წარმოდგენას იმ კვირისათვის აპირობენ.

◆ 27 აპრილს **დალაქებსა და პარიკმახერებს კრება ჰქონდათ და დაადგინეს:** დილით სადალაქოების გაღება თვითონ დალაქის ნება იქნება, საღამოზე კი უეჭველად 10 საათზე უნდა დაიკეტოს.

◆ ახალქალაქის მაზრიდან გვატყობინებენ: ამ დღეებში დუხობორთა 7 **სოფელი შეიკრიბა და დაადგინეს,** აღარც მინდვრები შევიმუშავოთ, აღარც თუთუნი მოვწიოთ, არც არაყი დავლიოთ და რაც სახელმწიფო თოფები გვაქვს, (სოფელზე 10 თოფი აქვთ მიცემული), მთავრობას უკანვე დავუბრუნოთო.

◆ გუშინ, 30 აპრილს, ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში **დამთავრდა მოწაფეთა გამოცდა** ყველა კლასებში. უფროსს კლასში გამოცხადდა სულ 11 ქალი, მათ შორის 3 რუსი. 12 გამორიცხულთ ნება აქვთ ზაფხულის შემდეგ ჩააბარონ ეგზამენები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ პეტრუზ მაკაროვისა და ეკატირინე ნადიროვის მიერ **შეწირულ მიწების შესახებ დაადგინა:** შემოღობოს ეს მიწები და სამოსწავლო კომისიას სთხოვოს თავისი მოსაზრების წარმოდგენა ამ ადგილებზე სკოლის აგების შესახებ.

◆ უწმ. სინოდმა დაამტკიცა საქართველოს ექსარხოსის-მიერ წარდგენილი პროექტი პირიქით ხევსურეთში **ახალ სამრევლოს დაარსების** შესახებ. ახალ სამრევლოში შედის სოფლები: აჭე, ლიქოკი, ბოჭხვილო, კარწაულთა, მაღრანი, ქვაბულო, აკუშო, ჭიმღა და ბულალაური. ამ სამრევლოს მღვდელს წლიურად 600 მანათი ჯამაგირი დაენიშნა.

◆ ნოვოროსისკიდან „რუსკ. სლოვ.“-ს ატყობინებენ, რომ სადამოჟნო ოლქის უფროსმა ბრძანება გასცა, **ხილის ყუთები გაუსინჯავად არ გაუშვათო.** ეშინიანთ, ამგვარ ყუთებით ყუმბარები არ გაატარონო.

◆ გუშინ, 30 აპრილს, საბჭოს დარბაზში, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით და უსახელო საზოგადოების დირექტორისა და რწმუნებულის მუტრიეს თანადასწრებით, ამ საზოგადოების ყველა გაფიცულ მოსამსახურეებს **კრება ჰქონდათ.** სამედიატორო სამართალს, რომლის ნებართვაც ბელგიიდან მიიღეს, უნდა განეხილა მოსამსახურეთა მოთხოვნანი. საზოგადოების წარმომადგენლები თხოულობდნენ—ჯერ მუშაობა დაეწყოთ და მერე დანიშნულიყო სამედიატორო სამართალი. მოსამსახურენი კი სამართალს ახლავე თხოულობდნენ. რადგანაც ვერ შეთანხმდნენ, მოსამსახურეებმა ანგარიში მოითხოვეს: მიეცეთ ორი კვირის ჯამაგირი გაფიცვის დაწყებამდე, მიეცეთ გაფიცულ დღეების ჯამაგირი და კიდევ ორი კვირის ჯამაგირი ხელშეკრულობის ძალით; დაუბრუნდეთ ჯარიმები და ფორმის ტანისამოსის ფული. ტანისამოსს უკანვე უბრუნებენ.

◆ სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი შულგინი იმ აზრის გამოსაკვლევად, თუ ადგილობრივ მცხოვრებთ რავდენად აკმაყოფილებს კერძო სასწავლებლები, სადაც სწავლება **დედაენაზე სწარმოებს,** სოფ. წინამძღვარიანთ-კარის სკოლის გამგეს შეეკითხა: რამდენად მართალია ის ხმები, ვითომც თქვენ სკოლის ტიპითაც უკმაყოფილონი არიან მოწაფენი და მცხოვრებნი დაკეტვას აპირებენო. წინამძღვარიანთ-კარის სკოლის გამგემ აცნობა რომ ჩვენ სკოლის წინააღმდეგ არავითარი უკმაყოფილებანი არ განუცხადებია არავის და დღესაც სწავლება წესიერად მიმდინარეობსო.

◆ ხუთშაბათს, 29 აპრილს, ხმოსან მირზოევის თავმჯდომარეობით, ავლაბარში შესდგა **კრება ქალაქის მიწებს მოიჯარადრე ნავთლუღელ და ავლაბრელ სახლიპატრონებისა.** კრებამ არ მიიღო ის წინადადება, რომ ქალაქმა ეს მიწები საკუთრებად გადასცეს **ამ სახლიპატრონებს.** შემდეგ შეუდგა იმ რწმუნებულთა არჩევანებს, რომელთაც უნდა ასწერონ ეს მიწები და თვითოეულ ამ მიწის ნაჭერს შესაფერისი ფასი დაადონ. რწმუნებულებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: არტემ სტეფანეს ძე აპრიამოვი, სედრაკ არტემის ძე ბარსეგოვი, პეტრე ზაქარიას ძე ნასიძე, სარქის ივანეს ძე მაილოვი, მიხეილ ავაქის ძე იშხანოვი და თეოდორე კარლეს ძე რეიმერსი. დასასრულ, კრებამ საჭიროდ სცნო სთხოვოს ქალაქის საბჭოს, რომ გამოსასყიდი თანხა ამ მოიჯარადრეებს გადახდეს 10 წლის განმავლობაში ექვსი პროცენტის გაწერით იმ თანხაზე, რომელიც სახლის პატრონებზე დარჩება. გარდა ამისა ეთხოვოს საბჭოს, რომ ქვაფენილები თვითონ გააკეთოს აქ შენობების წინ და ეს ხარჯი ისევ მათ გადაახდევინოს ისევ იმ წეს-რიგზე განაწილებით.

◆ სოფ. პატარძეულიდან გვწერენ: გამოფხიზლებულმა სოფელმა არც მედუქნეები დაივიწყა. გამოუწონეს საწონავები და დიდი უსამართლობა აღმოჩნდა. **ექვს მისხლიდან ჩვიდმეტ მისხლამდე ყველა გირვანქიანს აკლდა.** ყველა ამ მატყუარა მედუქნეს სოფლის სასარგებლოდ მისხალზე ერთი მანათი გადაუწყვიტეს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ტფილისის სახელოსნოების მუშებს **ყოველ წლივ, პირველ მაისობით, დღესასწაულს უმართავს ხოლმე.** დღესასწაულზე ყოველ წლივ 500 მანათი იხარჯება. რკინის გზის მუშებმა შარშანწლიდან ამ დროს გატარებაზე უარი სთქვეს და მოითხოვეს, სადღესასწაულოდ გადადებული ფული რაიმე კეთილ საქმეს მოხმარებოდა. შარშან 500 მანათი ომის საჭიროებისათვის გადაიდო. წელს მუშებმა მოითხოვეს, **ეს ფული გადაეცეს ქართველთა-შორის წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას ნაძალადევშიო.** რკინის გზის გამგეობამ ამ მოთხოვნაზე თანხმობა გამოაცხადა.

◆ დაბა ხაშურიდან გვწერენ: სოფელი გვერდის უბანი, რომელიც ორმოც კომლ მცხოვრებს შეიცავს, უშეშობით შეწუხებულია. სახელმწიფო ტყეში, საიდანაც გამოაქვთ ხოლმე შეშა, გლეხნი ახლა შეშას ველარ სჭრიან, თუმცა ამ წლის ტყის ფული უკვე შეტანილი აქვთ **ხაზინაში. ტყის ყარაული რაღაც მიზეზით სოფლელებს ტყეში არ ატარებს.** არავინ იცის, ასეთი განკარგულება ვისგანმე ყარაულს მოუვიდა თუ არა. მცხოვრებნი აღელვებულნი არიან.

◆ როგორც გვატყობინებენ, ქართლის სოფლებში **წელს დღეობები ზოგან სულ არ გაუმართავთ,** ზოგან კი სულ უფერულად და უსიცოცხლოდ ჩაუვლია. პირველი მიზეზი ამისა დღე-

ფელეტონი

ასპიტის გოდება

(ვუძღვნი ჯაშუშებს)

გველმა სთქვა გველიანიძემ:
სხვა რიგად მიცემს გულიო,
ბნელეთის ნებას ვასრულებ
მისივე მოციქულიო!

—

ქვემძრომელობით, უშიშრად
მე ვასავსავებ ენასო,
და ძნელად თუ ვინ გადურჩეს
იმ ჩემ გესლიან კბენასო...

—

ტარტაროზი მყავს მფარველად,
ვენაცვა იმის ძალსაო...
ერთგულის მონის ღვაწლ-ნაშრომს
თითონ აღევნებს თვალსაო...

—

მარა დღეს ვხედავ—მაჯობა
და დამამარცხა ქალმაო!
ასპიტი ჯოჯოხეთისა
ჩამჩრდილა იმის ძალმაო:

—

ისეთი შვილი აღზარდა,
ისეთი ენა-ტანია,
რომ ჩემი ღვაწლი იმასთან
აბა, რა გასატანია!..

—

დღეს ამით ხარობს იუდა,
ხარობს სატანაც დიდათო,
რომ იმის ნებას თვით კაცი
გაედვა გზად და ხიდათო!

—

ადამიანმა ჩამჩრდილა,
მე, უგველესი გველზეო,
აწ ჯილდოდ სამარადისოდ
მას მოვესკვნები ყელზეო.

დ. თომაშვილი.

სიზმარი კოლეჟსკი რეგისტრატორისა

ინტენდანტის მოხელემ, კოლეჟსკი რეგისტრატორმა პარმენ ფედოროვიჩმა, დღეს წმინდა საიდუმლო მიიღო, იყო საღამოს ლოცვაზედაც, მაგრამ ვერც ეკლესიაში, ვერც გზაზე და ვერც შინ ვერ მოიშორა თავიდან საშინელი ფიქრები. ისინი ჭიაყელებივით ირეოდნენ მის თავში, ტვინში. მიზეზი ამისა იყო ის ქადაგება, რომელიც მან წირვაზე მოისმინა. თუმცა აღსარებაც უთხრა მღვდელს, აღიარა თავისი ცოდვები, მაგრამ მაინც რაღაც ამძიმებდა მას გულის სიღრმეში, ის თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა იყო ეს „რაღაცა“, მაგრამ გრძნობდა კი, რომ იყო, და ეს იყო „რაღაც“ საშინელება.

მართალია, შემოსავალ-გასავლის წიგნში ხშირად „იტოგები“ ისე გამოჰყავდა, როგორც ამას მოითხოვდნენ მისი საკუთარი ფინანსიური მოსაზრებანი; მართალია ისიც, რომ უფროსის წინ ენა ხშირადა ჰქონდა რბილი და ფურჩული უყვარდა, მაგრამ ყველა ეს და სხვაც ბევრი ხომ უთხრა მღვდელს, ხომ აღიარა, თუმცა კი დაუმალა ერთი რამ, და ეს „ერთი რამ“ არც მისი საქმე იყო, ამიტომ არც მას ჩაეთვლებოდა ცოდვად. ამ შემთხვევაში ცოდვა უნდა მოენანიებინა პარმენ ფეოდოვიჩის მეუღლესა და მათ აღმატებულებას—კანცელარიის უფროსს.

არა, ეს არ იყო ის, რაც ამძიმებდა კოლეჟსკი რეგისტრატორის გულს, ეს ძველი ამბავია... მღვდელს ის ყოველ წლივ აბარებდა თავის საკუთარ ცოდვებს, წელსაც ასე მოიქცა, მაგრამ გული მაინც, არამც თუ შეუმსუბუქდა, არამედ უფრო დაუმძიმდა.

აი, ამისთანა ფიქრებით გაბრუებულს მიეძინა პარმენ ფედოროვიჩს საწოლზე და მხოლოდ ძილში აშკარად დაინახა ის, რაც ვერ გამოერკვივნა სიფხიზლეში და რაზედაც ქადაგებდა დღეს მოძღვარი. საზოგადოდ, კოლეჟსკი რეგისტრატორები ძილში უფრო ნათლათა ხედავენ საგანს, ვიდრე სიფხიზლეში, და პარმენ ფედოროვიჩსაც ასე მოუვიდა.

აი, რა საშინელება ნახა მან სიზმარში:

ცოდვილს დედა-მიწაზე ტარტაროზი მოსულიყო. თუმცა ის წინადაც ყოფილა, უვლია ჩუმად, ანგელოზის სახით, მაგრამ ეს ვერ შეუნიშნავს, ვისიც ჯერ არს. ხოლო ეხლა კი თვით პარმენ ფედოროვიჩიც ხედავდა. აგერ, მას უკან მოსდევს ეშმაკთა ლეგიონი, კვიან, ყვირიან, რაღასაც აფრიალებენ. ტარტაროზმა უცებ შეუბერა და აირია ერთმანეთში წყალი და მიწა, ცეცხლი და ნავთი, სისხლი და ცრემლი. გაისმა ვაი და ვაგლახი, აგუგუნდა საშინელი ქარი, გენიის ალში შეეხვია მთა და ბარიცა და ხმელეთი. თრთოდა სამყარო! კანკალებდა შიშით კოლეჟსკი რეგისტრატორი. მას უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ მუხლები ეკეცებოდა, უნდოდა დაეყვირნა—ენა, არ ემორჩილებოდა, ცდილობდა მომკვდარიყო, ვიდრე ეშმაკები სტაცებდნენ ხელს, მაგრამ ამაოდ,—ყველაფერს ხედავდა, ყველაფერს გრძნობდა. მის გარშემო მრავავალ წარჩინებულს მოეყარა თავი. ისინიც შიშისაგან კანკალებდნენ, თვალებ დაჭყეტილები შეჰყურებდნენ ცამდე აღმართულ ცეცხლის ალს და ელოდებოდნენ, როდის ჩანთქავდა ჯოჯოხეთი. აგერ, მათ აღმატებულებას პირველს სტაცეს ხელი ეშმაკებმა, პარმენ ფედოროვიჩმა უფსკრულიდან მისი უკანასკნელი გმინვა-ღა გაიგონა. აგერ ახლა, მათ ბრწყინვალებას მოსდეს ყელზე თოკი და ასწიეს მაღლა, ქვეშიდან კოცონი აუნთეს,—ის იხლაკნებოდა, ღრიალებდა, ითხოვდა შველას. იქით მათი კეთილშობილება შამფურზე აეგოთ და ერთმანეთს ბურთივით ესროდნენ, იწოდა რამდენიმე ტაინი სოვეტნიკიც, დეისტვიტელნი სოვეტნიკი და მრავალი სხვა ჩინი. „ჯერ ჩემთვის ვერ მოუგნიათო“,—ჰფიქრობდა კოლეჟსკი რეგისტრატორი და ხელებს თავზე რქებივით იკეთებდა, რომ თვითონაც ეშმაკს დამსგავსებოდა; თანაც ლოცულობდა, მაგრამ ცეცხლის ალი თანდათან ძლიერდებოდა, გრგვინავდა ცა, ზღვა-ოკეანე გადმოდიოდა ხმელეთზე.

მაგრამ ტარტაროზმა ხელი მაღლა ასწია და უცებ შეიცვალა სურათი. მიყუჩდა ყველაფერი, ჩაქრა ცეცხლის ალი, ზღვა ნაპირებში ჩადგა და, შესწყდა გრგვინვა და ქუხილი, მხოლოდ მიწის წიაღიდან მოისმოდა ყრუ ბობოქარი ხმა. პარმენ ფედოროვიჩი გაინაბა, დაადო ყური მიწას და იქიდან მოესმა ბელზებელის ხმა. მას გარს ეშმაკები შემოხვეოდნენ, ბჭობდნენ, თათბირობდნენ. მერე ერთბაშად დაიკილეს. და მიიმალნენ. კარგად ესმოდა კოლეჟსკი რეგისტრატორს უკანასკნელი ბრძანება ბელზებელისა. ეშმაკებს უნდა მოეყვანათ წარღვნა და მით აღეგავათ დედამიწა სამყაროს სხვა პლანეტთა შორის. „კიდევ ახალი საშინელება“—გაიფიქრა მან და შეკანკალდა. ერთხანს თვალები დახუჭა, მაგრამ ველარ მოითმინა, გაახილა და დაინახა სულ სხვა სურათი, ვიდრე მოელოდა. თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ გაჩნდა ის უცებ სადღაც, ბრწყინვალე დარბაზის კარებში. აქ მრავალ წარჩინებულთ მოეყარათ თავი. იყვნენ აქ ისინიც, რომლებიც ამ ერთი წუთის წინად ჩაეშვნენ ჯოჯოხეთში, დაიწვნენ ცეცხლში. „დასწყევლოს ღმერთმა, სიზმარი ხომ არ არის“?—ჰფიქრობდა პარმენ ფედოროვიჩი. მაგრამ როგორი სიზმარი იყო, როდესაც ის თავისი თვალით ხედავდა მათ აღმატებულებას. ის წარბებ-შეჭმუხვნილი იჯდა წითელის სუფრით გადაფარებულ მაგიდასთან. გარშემო უსხდნენ სულ დიდი და დიდი გვამები. ყველას სახეზე რაღაც ჭმუნვარება იხატებოდა. ემჩნეოდათ უბრალოდ არ შეკრებილიყვნენ აქ. მართლაც, აგერ ჩაახველა მათმა აღმატებულებამ, გაისწორა სათვალეები, დააწკარუნა ზარი და ხელში რაღაც ქაღალდი აიღო. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი კრძალვით იყურებოდნენ მაგიდისაკენ. მათმა აღმატებულებამ კიდევ ჩაახველა და ბოხი ხმით დაიწყო ქაღალდის კითხვა. ესმოდა პარმენ ფეოდოროვიჩს, რომ ის ვიღასაც ემუქრებოდა, რომ გაწყვეტას უქადდა, ჩამოხრჩობას. მათი აღიატებულება ჰაერში მუშტს ატრიალებდა, კბილებს აკრაჭუნებდა. მაგრამ ვერ მიხვდა პარმენ ფედოროვიჩი, რას ნიშნავდა ყველა ეს. ყველანი მოწიწებით ყურს უგდებდნენ. „დიაღ, ყოველ შემთხვევისთვის ჩვენ უნდა ავაშენოთ ახალი კიდობანი“,—კითხულობდა მათი აღმატებილება,—უნდა ვიხსნათ ქვეყანა წარღვნისაგან, ერთად-ერთი ხსნა და შველა ამაშია. რასაკვირველია, თქვენ სუყველანი მოექცევით შიგ (ყველამ ფეხზე ადგომით თავი დაუკრა მათ აღმატებულებას), ხოლო კიდობანში ადგილი არ ექმნებათ არა-წმინდა ცხოველებს. ან კი რა საკადრისია თქვენთან ერთად მოჰყვნენ შიგ ჩხეცები, კამეჩები და სხვა არა-წმინდა ელემენტები“. „ნეტა შემიშვებენ თუ არა“?—იფიქრა კოლეჟსკი რეგისტრატორმა, მაგრამ კითხვა კი ვერ გაუბედა.

«ამასთანავე კიდობნის კარებზე უნდა დავაყენოთ რიცხვ-მრავალი დარაჯი, რათა ზოგირთიე თავხედი არ შემოიჭრას შიგ, ან ებრაელნი არ შემოგვეპარნენ. დეე, მოვიდეს წარღვნა, ის ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს. თვით ღმერთი იქნება ჩვენი შემწე და მფარველი“,—დაათავა მათმა აღმატებულებამ. დაუკრეს ტაში, ყველას უხაროდა, ყველანი აქებდნენ ქვეყნის მხსნელს.

ამის შემდეგ მათმა აღმატებულებამ მოახდინა განკარგულება და მის წინ გაიშალა საუცხოვო სუფრა, ყველანი გარს შემოუსხდნენ. გაისმა სიმღერის ხმა. დარბაზს ვარსკვლავები ანათებდა, ფერიები დაფრინავდნენ სუფრის გარშემო.

«ააა, ახლა კი მივხვდი,—ჩაილაპარაკა პარმენ ფედოროვიჩმა,—მე შევცდი. მათი აღმატებულება თავისი ამალით შესულა სამოთხეში, მხოლოდ მე დამტოვეს ჯოჯოხეთში»! მას გული ამოუჯდა ასეთი უყურადღებობისთვის. მას უნდოდა კარებიდან დაეძახნა, რომ ისე ცოდვილიც არ არი, როგორც ხმაა გავრცელებული. მას უნდოდა მათ აღმატებულებასთან თავისი მეუღლე მიეგზავნა, რომ ეშუამდგომლა, რათა კოლეჟსკი რეგისტრატორიც გადაეყვანათ სამოთხეში, მაგრამ გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო. ისა ტიროდა, ხოლო დარბაზში კი იცინოდნენ და აქებდნენ მათ აღმატებულების სიუხვეს.

—ხა, ხა, ხა, ხა!—უცებ მოესმა პარმენ ფედოროვიჩს გულშემზარავი სიცილი. ქუჩის კარები ჩამოვარდა და დარბაზში სიცილ-ხარხარით შემოიჭრა ეშმაკთა გუნდი. ზოგს მათგანს პირი ჰქონდა დაღრენილი, ზოგი კუდზე დადიოდა, ზოგიც ცეცხლს აფრქვევდა პირიდან. ისინი გაექანენ მაგიდასაკენ. კოლეჟსკი რეგისტრატორი პირქვე წაწვა. ასტყდა საშინელი ხმაურობა. იმტვრეოდა ჭიქები, მაგიდა, სკამები, კედლები იქცეოდნენ, ჭერი ძირსა წვებოდა. ხან დაბნელდებოდა, ხან ისე გაანათებდა, რომ პარმენ ფედოროვიჩი ვერ ახელდა თვალებს. ის გრძნობდა, რომ კიდევ რაღაც საშინელება ხდებოდა, რომ ჯოჯოხეთმა ეხლა კი ჩანთქა ყველანი. დარბაზში საშინელი კვნესა და ტირილი ისმოდა. რამდენიმე ეშმაკი მათ აღმატებულებას ქაღალდს თავზე ახევდა, ყველანი ძირს ეყარნენ, კანკალებდნენ, იწერდნენ პირჯვარს. ლოცულობდა თვით პარმენ ფედოროვიჩიც. გარედან ქარის იგივე გრიალი ისმოდა, იძროდა დედამიწა, გრგვინავდა ცა, ილუპებოდა ყველაფერი, ინგრეოდა სამყარო. თვითონ დარბაზი ეშვებოდა სადღაც ძირს, ძირს, უფსკრულისაკენ. მასთან ერთად ყველა იქ მყოფებს თმით მიათრევდენ ეშმაკები, თვითონ ჰაერში პროწიალობდნენ, ფრინავდნენ. პარმენ ფედოროვიჩს არ უნდოდა წაჰყოლოდა, ის იბრძოდა, სჭიმავდა ძარღვებს, ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა, უცებ დაიღმუილა და... გამოეღვიძა... მას გული ძალზე უცემდა, სული ეხუთებოდა. მიიხედ-მოიხედა გარშემო და დარწმუნდა, რომ ეს სიზმარი იყო. ერთით გაეხარდა, რომ სიზმარი იყო, მაგრამ ისევ ჩაფიქრდა. ჯერ

ვანდელი-არა-ნორმალური მდგომარეობაა და მეორე ის, რომ ჰორები დადიოდა სოფლებში, დღეობებზე გლეხების ამოსაჟლეტად თავად-აზნაურნი აპირობენ მოსვლასაო.

◆ ამიერ კავკასიის **მაჰმადიანებმაც შეიმუშავეს თავიანთი პროგრამა.** აი, რამდენიმე ისეთი მუხლი ამ პროგრამისა, რომელიც საერთოდ ამიერ კავკასიელებს შეეხება: § 10) აწ არსებული ძნელი და მძიმე გადასახადი შემცირდეს და დაარსდეს გადასახადი შემოსავლის კვალობაზე; 11) მოისპოს სხვა ერთა გადმოსახლება და სახაზინო მიწები ადგილობრივ დროებით ვალდებულ და უმიწაწყლო გლეხებს დაურიგდეს; 12) გაუქმდეს საერობო დარაჯთა ინსტიტუტი. მოისპოს ყოველნაირი რეპრესია ეგზეკუცია, ადმინისტრაციის თვითნებობა და სამხედრო სასამართლო; 13) გაუმჯობესდეს მუშათა მდგომარეობა და შემოღებულ იქმნას მუშების დაზღვევა; დაჩქარდეს გლეხთა ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა სახელმწიფოს დახმარებით; დაარსდეს საადგილ მამულო ბანკები; 14) ხელუხლებლობა პიროვნებისა და სადგომისა; თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებებისა და კავშირებისა; 15) ყოველი კანონი და საადმინისტრაციო განკარგულება, რომელნიც ადგილობრივ საჭიროებას ეხებიან, უნდა განხილულ და საბოლოოდ დამტკიცებულ იქმნას ქალ. ტფილისში, საბჭოში, **რომელიც კავკასიის ერთა წარმომადგენლებისაგან შესდგება** (ბ. ი.).

◆ გუშინწინ, 29 აპრილს, ტფილისის ქალაქის პირველ-დაწყებით **სკოლების მასწავლებლებს კრება ჰქონდათ** და შემდეგში რეზოლუცია შეიმუშავეს: 1) ჩვენ სრულიად თანავუგრძნობთ ქალაქის დადგენილებას ყველა ამ სკოლების გადაცემის შესახებ ქალაქის სრულ გამგებლობის ქვეშ. 2) საზოგადო სავალდებულო პირველ-დაწყებითი სწავლება. 3) სკოლების დაყოფა ჯგუფებზე ეროვნების მიხედვით და სწავლებაც დედა-ენაზე (სწავლება რუსულ ენისა როგორც განსაკუთრებულის საგნისა). 4) ისეთ ნაირად შეთანხმება ყველა ტიპის სკოლებისა, რომ უმაღლეს სკოლებთან კავშირი არ იყოს გაწყვეტილი და უმაღლესი სკოლა დაბალ სკოლის გაგრძელება იყოს. 5) სპეციალურ სკოლების დაარსება მძიმე მოაზრე ბავშვებისათვის. 6) გაკვეთილების ნორმალური დანიშნება. სკოლის გამგეს 12 გაკვეთილი უნდა ჰქონდეს კვირაში ხოლო მასწავლებელს კი 20-მეტი არა. 6) მასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესება. 7) ქალაქ ტფილისის პირველ დაწყებით სკოლების კორპორაციის დაარსება. 8) კორპორაციას იმ უფლების მინიჭება, რომ თითონ მასწავლებლებს ჰყავდეთ თავის წარმომადგენელნი ქალაქის საბჭოს სამოსწავლო კომისიაში. 9) 20 წლის ვადა სამსახურისა. თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მასწავლებლებმა დაადგინეს: 1) ქალაქში ცხოვრების გაძვირებისა გამო მასწავლებლებს ხშირად კერძო გაკვეთილების აღება უხდებათ და უდროოდ ავადდებიან. ხოლმე ამისათვის, საჭიროა მასწავლებლებს ქალებს ჯამაგირი 900 მანათამდის დაენიშნოთ, სჯულის მოძღვრებს და ადგილობრივ ენების მასწავლებლებს და გალობის მასწავლებლებს 35 მანათამდის, წლიურად თითო გაკვეთილში, და დაწესდეს პროგრესიული მომატება ჯამაგირებისა ხუთ წელიწადში ერთხელ. 2) ავადმყოფობის დროს ჯამაგირი 6 თვე ეძლიოს და ერთი წელიწადი ადგილი შეენახოს. წამლობა როგორც მასწავლებლისა, ისე მის ოჯახისა უფასო უნდა იყოს: 3) მასწავლებელთა შვილები ორთავე სქესისა უფასოდ უნდა სწავლობდნენ როგორც დაბალ, ისე საშუალო სასწავლებლებში და 4) ჯილდოს მიცემა ფულად უნდა სწარმოებდეს იმ წესზე, როგორც ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთათვის არის დაკანონებული.

◆ 27 აპრილს, დილით, სოფ. მარტყოფის მცხოვრებნი, რიცხვით ორმოც კაცამდე, მივიდნენ ადგილს „ჩოხრალზე", სადაც ეძოვა ცხვარი სოფ. ალტაგლის მცხოვრებელს მამედ ვალ ბალაგშინს, მოიტაცეს 452 სული ცხვარი და 19 ცხენი; მათ გამოეკიდა მწყემსი მამედ ვალისა და მისი ამხანაგი მაგერამი და სთხოვდნენ, დაებრუნებინათ ცხვარი, მაგრამ ამ დროს მარტყოფელებისაგან გავარდა თოფი და მაგერამი მოჰკლა. ამ დროს ამათ წამოეწია უფროსი დარაჯი და მოსთხოვა დაებრუნებინათ ცხვარი და აღმოეჩინათ მკვლელი, მაგრამ იმათ ყურადღება არ მიაქციეს და საქონელი გაირეკეს. უფროსმა მოდარაჯემ მიმართა დახმარების აღმოსაჩენად მარტყოფის მამასახლისს, მაგრამ მან დახმარებაზე უარი განაცხადა.

◆ 29 აპრილს, ნაშუადღევის სამ საათზე, ტფილისის მოქალაქის შაქრო მარტიროზოვის მოჯამაგირემ დათიკო ფეიქრიშვილმა ჩაიყვანა სამი ცხენით შებმული ფურგონი ნავთლუღის ქვემოდ მტკვარზე. წყალმა მოიტაცა ფურგონი, სამი ცხენი და თვითონ ფეიქრიშვილიც. ფეიქრიშვილი გადახტა ფურგონიდან და გამოღმა გამოსცურა, ხოლო სამი ცხენი და ფურგონი წყალმა გააქანა და ჩაჩქმალა.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელს ფელეტონში შემდეგი უმთავრესი კორექტურული შეცდომები შეგვეპარა: პირველ გვერდზე დაბეჭდილია—„ჩემი წერილიც ურევია"-ო, უნდა ყოფილიყო: „ჩემი წვლილიც ურევია"-ო; მეხუთე სვეტზე დაბეჭდილია: „ბანს მისცემენ ჩვენის გარუსების შესახებ ის რუსებიც გაიძახიან", უნდა ყოფილიყო: „ბანს მისცემენ ის რუსი დემოკრატებიც, რომელნიც გაიძახიან"; მეათე სვეტზე დაბეჭდილია: „და როგორც კერძო ვერ განვითარდება", უნდა ყოფილიყო: „და როგორც კერძო ადამიანი ვერ განვითარდება".

სადღეისოდ

სათარეშოდ...

(დღიურიდან)

სათარეშოდ გამოველ...

ერთ ქუჩაზე ხალხი მოგროვილიყო. გაზეთს კითხულობდნენ. ამ ჯგუფს კიდევ სხვები ემატებოდნენ: დაღრემილები, ლურჯ-ხალათიანები. შიგა-და-შიგ ევროპიულად გამოწყობილნიც მოსჩანდნენ, მედიდურნი და ამაყნი.

უმრავლესობას ხელში მსხვილი ჯოხები ეჭირათ, თვალებში რაღაცა საიდუმლოება აღბეჭდოდათ, ბაგეზე უთქმელი სიტყვა დაჰკვდომოდათ. გეგონებოდათ,—საცაა, პირს დააღებენ, ყვირილს დაიწყებენ, გამვლელ-გამომვლელთ დაიჭერენ, შეარცხვენენ მხდალობისათვის, დაჰგმობენ თავისს აუტანელ მდგომარეობას, შეწუხებულ ცხოვრებასაო.

მე ისინი ასაფეთქებლად მომზადებულ ყუმბარას დავადარე!

გამაჟრჟოლა... უნდა მეთქვა რამე, მაგრამ ვეღარ გავბედე.

მართლაც-და, რა დიდი უბედურებაა: გინდოდეს რამის თქმა და კი ვერა ბედავდე, გსურდეს ხმის ამოღება და ვერ ახერხებდე, მეტყველი უტყვად რჩებოდე, მარტო იმიტომ,... რომ შენი ლაპარაკი რომელსამე ძალის მქონეს არ მოეწონება, წაგავლებს ხელს და, თუ გაჯიუტდი... მათრახი და შენი ჯანი!..

რათა, რისთვის?

იმიტომ, რომ ეს ქვეყანა ძალმომრეობაზეა აგებული. ისეა დაკნინებული, რომ ერთი-მეორის ორჩოფებად გამხდარა: პირადობა, ადამიანობა, შენი „მე" ყოველგან და ყოველთვის შეურაცხყოფილია, შენ შენს თავს არ ეკუთვნი!..

— ოხრამაც დარჩენილა-მეთქი ასეთი ცხოვრება,—წავიდუდუნე, ჩემ გვერდზე მდგომ პოლიციელს თვალი ჩავუკარ, წმინდანის სახე მივიღე და ამ ჯგუფში გავერიე.

ერთი ყმაწვილი კაცი გაზეთს კითხულობდა, დანარჩენები ყურს უგდებდნენ. წერილი თანამედროვე მწვავე საკითხებს შეეხებოდა, ყველას საბრძოლველად, შესაერთებლად იწვევდა.

— სისულელეა!—წამოიძახა ერთმა,—რის ერთობა, რის დაკავშირება... ჩვენი ინტერესები სხვადასხვაა! დეე, იჭიკჭიკონ, რა ნისკარტი გაუცვდებათ!—მედიდურად დააბოლოვა თავისი სიტყვა ყმაწვილმა და ყველა ჩამოგვათვალიერა.

— სცდებით, ყმაწვილო!—ჩაერია ლაპარაკში მეორე,—იქ, სადაც თითოეულის პირადი ღირსება დამცირებულია, სადაც მოქმედებისა, ლაპარაკისა და, ასე გასინჯეთ, ფიქრის ნებაც კი არა გაქვს, ყველას—დიდისა და პატარის—ერთად-ერთი მიზანი უნდა იყოს: ამოვიდეს იმ ჭაობიდან, რომელშიაც დღეს იგი ჩაფლულა და, როცა თავს გაინთავისუფლებს, მაშინ, როგორც უნდა, ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება. ჯერ დავანგრიოთ ჩვენი აყროლებული ქოხი, მზე დავინახოთ და მერე შევუდგეთ უკეთესის შენობის აგებას და, თუ ყაჩაღი ხარ, ხუროთ-მოძღვრება შენთვის მომინდვიაო.

კრიტიკანმა ალმაცერად გადახედა მოკამათეს და თვალი თვალში გაუყარა.

ეს იყო ერთი რაღაც ჯუჯა, უსიამოვნო სახის ადამიანი. პაწია თვალები უციმციმებდა, სახე ალანძოდა, გეგონებოდათ, ნახშირის ტომარა მის თავზე დაუპერტყნიათო, თმა აბურძგნილი ოსურ ტახსა ჰგავდა. ეტყობოდა, ბუნებით ბოროტი, გულ-ზვიადი და შურიანი უნდა ყოფილიყო.

შავმა ტახმა ყურადღება არ მიაქცია მოკამათეს. პასუხის ღირსად არ ჩასთვალა. სხვებიც სდუმდნენ.

მე კი მოთმინების ძაფი მიწყდებოდა. მსურდა ყველას ელაპარაკნა, მათი გონებრივი ავლა-დიდება გამეგო, მათი გულ-მაგრობა გამომეცადნა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა.

ყველაზე ძალიან კრიტიკანი მაინტერესებდა, იგი ერთის დასის მეთაურსავით ითვლებოდა.

ჩემმა ხელობამ, სხვათა შორის, ერთი დიდი გამოცდილება შემძინა, დამარწმუნა ადამიანთა სიავ-კარგეში, მათ სულსა და გულში ჩამხედა. იქნება იმიტომაც ამეჩხირკა ასე გული!

რა ჯურის ადამიანი გინდათ, რომ მე არ მენახოს, და მერე იქ, სადაც სანახავია: გაჭირვებაში, მათრახს ქვეშ... და ახლა, ამ ჯგუფს რომ ვათვალიერებდი—უცბად თვალწინ დამეხატა ზოგიერთთა დაწვრილმანება, დაკნინება.

საკმარისი იყო უცბად დამეყვირნა: „ბევრს ნუ ყბედობთ, მე ჯაშუში ვარ-მეთქი", რომ ყველანი დაფანტულიყვნენ... ნამეტნავად დაფთხებოდა ის კრიტიკანი—ბუზს რომ ცხვირზე არ ისვამდა.

— ჰა, ჰა, ჰა!—ჩავიცინე ჩემთვის ამისმა მოფიქრალმა, თუმცა ერთით გული კი მეტკინა. ყოველსავე საქმეში ლაჩარი კაცი ჭირივითა მძაგს!

ამ დროს პოლიციელებიც მოვიდნენ და ხალხს დაშლა უბრძანეს.

შეჯგუფული ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. დაიშალა წყნარად, უსიტყვოდ, ცხვრებივით.

მეც მოვშორდი იქაურობას და ალექსანდრეს ბაღში შევედი. გაზაფხულის პირი იყო. ხეები ახლად გაფოთლილიყვნენ. ნორჩი ბალახი საყვარლად ბიბინებდა, ზიზილები აქა-იქ უმანკო ბავშვის თვალებივით გამოიყურებოდა. გული ამიჩქროლდა და ერთის ხის ქვეშ სკამზე დავეშვი...

დიაღ, არის ხოლმე ჩემს ცხოვრებაში ისეთი წუთები, როდესაც მავიწყდება ჩემი სისაძაგლე, როდესაც მე ის აღარ ვარ ხოლმე, რაცა ვარ!..

რაღაც გამოურკვეველ მომავალით გაჟღენთილი ჰაერი საგონებელში მაგდებს!..

დიდხანს ვიჯექი ხის ძირს და ისევ ამეშალა მწარე ფიქრები. რა ვარ, რას ვემსახურები? ოჰ, თქმაც კი მეძნელება! მე ვემსახურები... მაგრამ ყველაფერი მალე გამოჩნდება!

ის თოკის ბრალია, რომელსაც მე კისერში წამიჭერენ, ის ხე ცოდოა, რომელზედაც მე ჩამომაღრჩობენ!..

მე არა მსურს ვისმე თავი შევაბრალო, ან ნამუსი მოვიწმინდო, და ამიტომ არ მოგიყვებით ჩემის გაჯაშუშების ამბავს. ვისაც რა გინდათ, ის იფიქრეთ! მე მხოლოდ ვკითხავ: მაპატიებს თუ არა საზოგადოება ახლა, რომ მივიდე, ავუხსნა ჩემი გულის ნადები და ვსთხოვო—„შემინდეთ მეთქი"? მიხვდება განა ჩემს მწუხარებას, ჩემს გულწრფელობას?

არასოდეს!!

საზოგადოება ყოველთვის წმინდანადა სთვლის თავის-თავს, თუმცა უმრავლესობა მისის წევრებისა ჩემზე უარესად გაფუქსავატებული და დაწვრილმანებულია. რამდენი ვიცი საზოგადოებისაგან მიღებული, კაცურ-კაცად აღიარებული, რომ გროშისთვის ჰყიდის თავისს თავს, თავისს ქვეყანას, თავისს ხალხს! ოღონდ იმას კი ნურა დააკლდება-რა, ოღონდ კი იმას ჩინი და დიდება მიემატოს და, თუნდა თავისს შვილს დაგიკლავთ!..

გნებავთ, სათითაოდ ჩამოგითვალოთ! მაგრამ რა საჭიროა. ბაქოდან ბათუმამდე თვალი გადაავლეთ და ყველას დაინახავთ.

ამბობენ, ერთობააო. სად არის ეს ერთობა, როდესაც ბარი კვნესის და მთა ქვითინებს.

მაშ, რა მაშინებს?... ჯერ კიდევ ვინავარდოთ, შავო ძალებო, ჩვენი მტრები ერთმანეთს სჭამენ!..

აცა!.. ჭკრიალას ხმა მოისმის... მიძახიან. ეს ისეთი ხმაა, რომ ჩვენ გვაგროვებენ. დღეს ხომ პირველი მაისია, წყალი აიმღვრეოდა. ჰა, ჰა, ჰა! მე კი აქ ისე ვმსჯელობ, თითქოს პატიოსანი კაცი ვიყო! ჰა, ჰა, ჰა!...

— ჭკრრრრ...

ჰე!.. წავიდე თუ არა?.. მიძახიან! წავიდე?.. მაშ რა ექნა?

მეც მინდა ვიცოცხლო, გამაძღებული სულიც ტკბილი ყოფილა!

— ჭკრრრრ...

მოვდივარ, მოვდივარ!...

ია ეკალაძე.

მწვავე კითხვები და მწერლობა.

საინტერესო დრო დადგა ყველასთვის! რუსეთის სხვადასხვა კუთხეში გაისმა ერთხმად: „ასეთი ცხოვრება არ შეიძლება!"

გამოფხიზლდა საზოგადოება, გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს ცხოვრების მსვლელობას და ელის მომავალს...

აღარ არის უწინდელი უმოქმედობა... არ არის უწინდელი სიჩუმე...

საზოგადო ძალები თავმოყრილია, ხალხი გადაჭრით აცხადებს, რომ უნდა მოისპოს ახლავე ის პირობები, რომელიც უვარგისი გამოდგა...

ხედავს ამას ადამიანი და რწმუნდება, რომ მალე, ძალიან მალე შეიცვლება თანამედროვე ცხოვრება, მალე, ძალიან მალე ახალი მზე ამოგვინათებს და ბნელის ადგილას გაჩნდება სინათლე...

როგორც ძველად ურიები ეგვიპტის მონობიდან გავიდნენ, ისე ჩვენც უნდა მოვშორდეთ თანამედროვე ცხოვრებას...

სხვისი წყალობა ამ საქმეში არ გამოდგება, ჩვენივე მეცადინეობით უნდა შევქმნათ მომავალი ცხოვრება. ჩვენივე ხელით უნდა ავაგოთ მომავალი წეს-წყობილება.

ამ აზრს ადგია საზოგადოება რუსეთში, ამას მოითხოვს ამჟამად მწერლობა. ჯერ არ შესრულებულა ცხოვრების ევოლიუცია და მომავალი წყობილების ქვა-კუთხედიც არ არის ჩადგმული.

ახლა ყველასი საერთო მოქმედება არის საჭირო, მწერლობამაც უნდა გაუწიოს წინამძღოლობა ყველას, ვისაც სურს შეიტანოს თავისი წვლილი მომავლის შექმნაში.

რა საჭიროა ახლა ლამაზი სიტყვები, მწერლობაში ტენდენციების მოსპობა, წმინდა ხელოვნება და ამისთანები, როდესაც ბობოქრობს ხალხი და ხელმძღვანელობას მოითხოვს მწერლობისგან.

„დემოკრატიის" წინაშე ვერ გამაგრდება ვერავინ! ეს მომავალი „დემოკრატია" ბევრს აშინებს, ბევრს ეჯავრება მისი ბრწყინვალე სხივი.

ეს მომავალი მოითხოვს ყველასგან შრომას, საქმიანობას.

განზე გადგომა ბოროტ-მოქმედებად ჩაითვლება ადამიანს მაშინ, როდესაც მთელი საზოგადოება იბრძვის და ცდილობს თავისივე მეცადინეობით შექმნას ახალი ცხოვრება.

განზე გადგომა ამნაირ დროს უზნეობაა.

მწერლობა, სიტყვა-კაზმული მწერლობაც უნდა დაადგეს ამავე მიმართულებას. ტენდენცია მწერლობაში ამჟამად სავალდებულოა ყველასათვის.

ის მწერალი, რომელიც ამნაირ დროში აცხადებს, რომ ტენდენცია არ ვარგა, რომელიც ცდილობს თავის ნაწარმოებში განყენებულ ხელოვნებას ემსახუროს,—საზოგადოების მოღალატეა, ისეთივე მოღალატე, როგორც ჯარის-კაცი, რომელიც ბრძოლის დროს ჩერდება განზე და არ უნდა შესწიროს თავი ხალხის კეთილდღეობას.

რაც უფრო ძლიერი იქმნება ტენდენცია, ძველ წყობილების საწინააღმდეგო, მით უფრო მეტი აღმოჩნდება ყველგან მებრძოლი, მომავლის შემქმნელი.

დემოკრატია—მომავლის მეფეა! ამ მეფეს უნდა გავუადვილოთ შემოსვლა ჩვენში.

მართალია, მას ბევრი დაბრკოლება გადაეღობება გზაზე, მაგრამ ეს დაბრკოლება დროებითია.

ისინი, ვინც ეწინააღმდეგებიან მომავლის შექმნას, ივიწყებენ, რომ ამის გამო მომავალი უფრო მალე შემოვა ჩვენში!

(ობრაზოვანიე).

ჯანი ისევ უკანკალებდა, თვალ-წინ უდგა დარბაზი, რომელიც საშინელის ღრიანცელით მიჰქონდათ ეშმაკებს ჯოჯოხეთის ჯურღმულისაკენ. თვალ-წინ უდგა ყველაფერი და კოლეჟსკი რეგისტრატორის გულს ახლაც იგივე ეშმაკები საშინელის სიმწვავით სწიწკნიდნენ. აშინებდა იგივე სიზმარი. მისი მეუღლე კი მშვიდათ და წყნარათ ფშვინავდა ლოგინში. რას მოასწავებს ეს სიზმარი?—ფიქრობდა ის, მაგრამ პასუხს კი ვერ უბედავდა თავის თავს, მხოლოდ შიშისაგან ქვემოყბა ვეღარ გაეჩერებინა და კბილებს ერთმანეთზე აცემინებდა.

ი. ევდოშვილი.

გერმანიის წარსულიდან

როგორი იყო წარსულ საუკუნის ორმოციან წლებში გერმანიის მდგომარეობა, მაშინ, როდესაც იქ მზადდებოდა რევოლიუცია?

ხალხი ჯერ კიდევ მორჩილად ითმენდა თავის მდგომარეობას. ძლიერი მთავრობა სპობდა საწინააღმდეგო ძალების გამოცხადებას, სახელმწიფოში გაბატონებული კლასები, სხვადასხვა პრივილეგიებით დაჯილდოვებული, ხელს უწყობდა არსებულ წყობილების შერჩენას.

ჩინოვნიკობამ თანდათან ჩაიგდო ხელში მთელი სახელმწიფო და ბოლოს თვით არისტოკრატიაც ჩამოიშორა. არ იყო მთელ სახელმწიფოში ისეთი მოვლენა, არ იყო ისეთი დაწესებულება, სადაც არა რეოდა ბიუროკრატია,—სწავლა-განათლების საქმე, ეკლესია, მეცნიერება, პრესსა,—ყველაფერი ბიუროკრატიის კლანჭებში სულს ჰლაფავდა და ნატრობდა თავისუფლებას.

ბიუროკრატია ბატონობდა და სასტიკად სჯიდა ყველას, ვინც ჰბედავდა მის ბატონობის საწინააღმდეგოდ ხმის ამოღებას. თავის მოწინააღმდეგეს ანარქისტობას სწამებდა და ყველგან სდევნიდა ამ საქმეში მას. სამსახურს უწევდა პოლიცია და სასამართლოც, რომელიც, ბიუროკრატიის ფეხთა მტვრად გადაქცეული, სასტიკად სჯიდა ყველას, ვისაც ჰბრალდებოდა გაბატონებულ ბიუროკრატიის მტრობა.

მაგრამ ცხოვრების განვითარება ვერავითარმა სისასტიკემ ვერ შეაჩერა: ცხოვრებაში თანდათან მწიფდებოდა ახალი აზრი, ახალი ძალები თავს იჩენდნენ და ცდილობდნენ გაბატონებას. ხალხმა დაიწყო საპოლიტიკო უფლებებისთვის ბრძოლა.

ან რატომ არ დაიწყებდა, როდესაც გაღარიბებულ **ხალხის** ყოველივე სამართლიანი მოთხოვნა ბიუროკრატიას აჯანყება ეგონა. ხალხში თვითცნობიერების გავრცელება სწყინდა და უნდოდა გამოფხიზლებული ხალხი ძველებურად ხიშტითა და ტყვიით დაემონებინა?..

მთავრობის ძალმომრეობას ხალხის ძალმომრეობაც თანა ჰყვებოდა,—ბრძოლა ძლიერდებოდა...

1844 წ. ბოჰემიაში მუშებმა გაანადგურეს ქარხნები, დალეწეს მანქანები, ერთად შეგროვილნი, ცოლშვილიანად, გაემართნენ პრაგისაკენ, რომ იქ მთავრობისათვის წარედგინათ თავიანთი მოთხოვნილება. ავსტრიის კანონის ძალით, ამნაირი საერთო დეპუტაცია არ იყო ნება-დართული. ხალხს ჯარები დაახვედრეს. პოლიციის უფროსმა ჯარებს სროლა უბრძანა. მუშები გამწარდნენ, მაგრამ იარაღი არა ჰქონდათ ხელში და ძალაუნებურად გაიქცნენ.

ამ ამბავმა საზოგადოება ააღელვა. მაგრამ მთავრობამ თავის მორჩილ გაზეთებს უბრძანა, ხალხში ხმა გაავრცელეთ, ვითომც ყველა ეს ამბავი „ურიების" საქმე ყოფილიყო, ხალხის მტერთაგან შემზადებულიო.

მთავრობა მოსტყუვდა,—მოსტყუვდა იმ მხრივ, რომ არ ეგონა, რომ მას ბურჟუაზიაც უღალატებდა. ამიტომ მეტად შეწუხდა, როდესაც ბურჟუაზია გვერდში ამოუდგა სარევოლიუციო მოძრაობას და ითხოვდა თავისუფლებას!

„რევოლიუცია" ქარხნებიდან გაზეთებში გადავიდა... ბიუროკრატიას ნიადაგი ეცლებოდა... და მთავრობამ სასტიკი ბრძოლა დაუწყო ახალ მიმართულებას. ცენზურა ამუნჯებდა ყველას და ცდილობდა შეეჩერებინა გონების განვითარება...

საპყრობილეები აივსო მთავრობისათვის საეჭვო პირებით. სასწავლებელში შეჩერდა სწავლა, სტუდენტობა უარს ამბობდა უნივერსიტეტში სიარულზე, პროფესორებიც სამსახურს თავს ანებებდნენ.

1847 წ. დამლევს მოძრაობამ იმატა კიდევ, მაგრამ ჯერ კიდე არავის ეგონა, რომ მალე რევოლიუცია დაიწყებოდა. ჰფიქრობდნენ,—ყველაფერი თავის თავად მოეწყობაო „როდესაც მოკვდებიან მეფე და მისი ყოვლად შემძლე მინისტრი მეტტერნიხიო"...

მაგრამ თებერვალში მოვიდა ამბავი, რომ საფრანგეთში გადააყენებიათო მეფე ლიუდოვიკო-ფილიპი, რომელიც ყოველთვის თვით-მპყრობელობის დიდი მოსარჩლე იყო.

ამ ამბის გაგონებაზე ყველა სახელმწიფოში ხალხი ამხედრდა.

ყველგან საზოგადოებამ ათასნაირი რეზოლუცია და გადაწყვეტილება წამოაყენა. ახალ მოძრაობის წარმომადგენლებმა მოუყარეს თავი ამ რეზოლუციებს, ამოარჩიეს უმთავრესად საჭირო უფლებანი და ერთ ძლიერ დასად შეკავშირებულებმა მოითხოვეს მთავრობისაგან ამ უფლებათა დათმობა.

ითხოვდნენ პრესსის თავისუფლებას, საჯარო სასამართლოებს, ნაფიც მსაჯულებს, საერო მილიციას, სარწმუნოების თავისუფლებას, შეკავშირების თავისუფლებას, საყოველთაო საარჩევნო უფლებას, კონსტიტუციას...

ყველგან სოფლად გლეხთა მოძრაობა დაიწყო,—გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლებს, ანადგურებდნენ იმათ მამულებს.

ჯარიც ირყეოდა,—ეტყობოდა, რომ ისიც ჰგრძნობდა ხალხის სიმართლეს, ბიუროკრატიის უვარგისობას, და მზად იყო აჯანყებულთა მხარეზე გადასულიყო...

მთავრობა შეშინდა... უნდოდა მოემხრო ხალხის რომელიმე ნაწილი,—მოფერება დაუწყო გლეხობას: საშინელის სიჩქარით მოსპეს ბატონყმობა, მეფე ტკბილად ელაპარაკებოდა გლეხების დეპუტაციებს.

მაგრამ ამნაირ ხერხით საერთო მოძრაობის შეჩერება შეუძლებელი შეიქმნა.

დიდ ქალაქებში, სადაც ხალხი უფრო შეჯგუფულია და სადაც ამიტომ შეერთება, საერთო მოქმედება უფრო ადვილი ხდება,—მთავრობისაგან დიდის რიხით წამოთქმული სიტყვები, რომ „მეფე, ჯარი და ხალხი ერთმანეთისაგან განუყოფელი ერთეული არისო",—არავის სასაცილოდაც არა ჰფოფნიდა, ხალხი ამნაირ შეკავშირებაზე გადაჭრით უარს აცხადებდა... ამ ქალაქებში პოლიციას ყურადღებასაც აღარ აქცევდა არავინ,—თავისუფლად იკრიბებოდა ხალხი, გატაცებით ლაპარაკობდნენ, იწვევდნენ ხალხს ბრძოლისთვის კონსტიტუციის მოსაპოვებლად.

ბერლინის ქალაქის საბჭომ, 11 მარტს, მეფეს გადაჭრით რეფორმების შემოღება მოსთხოვა...

ორ დიდ ჯგუფად გაიყო ხალხი: ერთის მხრივ თავისუფლების მოსურნე, მისთვის მებრძოლი საზოგადოება, მეორეს მხრივ კი—მთავრობა, ბიუროკრატია და მისი მონა-მოსამსახურე—პოლიცია, ჟანდარმები და ჯარები. ქუჩებში „მშვიდობიანობის დასაცველად" დადიოდა ცხენოსანი ჯარი და ქუჩაში შეგროვების ნებას არ აძლევდა არავის. გვიბრძანონ და სროლა მერე ჩვენ ვიცითო,—ამბობდნენ ოფიცრები ბერლინში.

13 მარტს შემდეგ ჯარი ყველგან სდევნიდა ხალხს, 16 მარტს ას დაჭრილ კაცამდის იყო მოყვანილი საავადმყოფოში..

სისხლი იღვრებოდა კიდეც... ბიუროკრატია-კი მაინც არ იშლიდა თავისას და საჭიროდ არ სთვლიდა ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

მეფის სასახლეში ყოველ-დღე იკრიბებოდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრები და თათბირობდნენ იმ კითხვების შესახებ, რომელიც ხალხს იარაღით ხელში ქუჩაში უნდა გადაეწყვიტა.

17—18 მარტს, ღამე, სასახლეში გადასწყვიტეს დაეთმოთ ხალხისთვის, 18 მარტს დილას გამოიცა მეფის ბრძანება, რომლის ძალითაც ისპობოდა ცენზურა და უნდა დაეჩქარებიათ საერო კრების მოწვევაც.

ხალხი ქუჩებში ამ ბრძანებას კითხულობდა გახარებული, და ამავე დროს გამოვიდა ბრძანება, დაეფანტათ შეგროვილი ხალხი ჯარი ხალხს დაერია ხიშტებით და თოფის სროლის ხმაც გაისმა...

ხალხი გაიქცა... ქუჩებში უცებ ბარიკადები აიმართა. რამდენისამე საათის შემდეგ ბერლინის ყველა ქუჩებში მზად იყო ბარიკადები.

ჯარი ესროდა ხალხს, საშინელის სიმკაცრით ექცეოდა ყველას, მაგრამ ხალხი არ უთმობდა. 19 მარტს, დილის შვიდ საათზე, მეფემ გამოაცხადა,—ჯარს წავიყვანო, თუ ხალხმაც დაანება თავი ბარიკადებსო.

18 და 19 მარტი მოძრაობის მწვერვალი გამოდგა. მას შემდეგ მოძრაობა თანდათან სუსტდებოდა და ყველგან წესიერება დამყარდა. ამ წესიერების დაცვა იკისრა თვით ხალხმა, რომელსაც მთავრობამ საამისოდ იარაღიც მისცა საკმაოდ.

მაგრამ სწორედ ამ დროს აღმოჩნდა, რომ მთავრობის ახალი მიმართულება ვერ აკმაყოფილებდა ყველას და საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელსაც მთავრობისაგან იარაღი მიეცა, მოისურვა, ამ იარაღის ძალით მოესპო უკმაყოფილო ელემენტები. ახლად გაბატონებული ჯგუფები არ თანხმდებოდნენ ხალხის უმეტესობისთვის საარჩევნო უფლების გამეტებას, არ თანხმდებოდნენ დემოკრატიულ წყობილების შემოღებას გემანიაში.

ამასთან ერთად მოითხოვეს, რომ საარჩევნო უფლების მისაღებად ყოფილიყო საჭირო ცენზი.

ლიბერალთა „საკონსტიტუციო კლუბი" ერთხმად მიემხრო ცენზს და ორკეც საარჩევნო უფლებას. ამ კლუბის მხოლოდ ერთი წევრი არ ეთანხმებოდა საერთო გადაწყვეტილებას.

„ერთ ირლანდიელს ვირი ჰყოლია,—ამბობდა იგი:—ამ ვირის საშუალებით ირლანდიელი ლუკმა პურს შოულობდა, გადასახადსაც იხდიდა, მაგრამ აგერ, მოკვდა ვირი ირლანდიელსაც დაეკარგა საქმე, ფულის მოგება ვეღარ მოახერხა; როგორც ღარიბმა, დახმარება მიიღო საზოგადოებისაგან და ამიტომ საარჩევნო უფლებაც დაჰკარგა. ვის ჰქონდა ამ შემთხვევაში საარჩევნო უფლება: ადამიანს თუ მისს ვირსო"?

საარჩევნო უფლება უნდა იყოსო საყოველთაო და პირდაპირი, ვინაიდან ორკეცი საარჩევნო უფლება უდრის საქონლის ყიდვას ვაჭრებისაგან, რომელნიც თვითონ ყიდულობენ მას მწარმოებლებისაგან და თვითონ ფულს იგებენ ამ საქმით.

ორკეცი საარჩევნო უფლება ვერ გამოხატავს ნამდვილად ხალხის სურვილებს.

ბურჟუაზია ამ საყოველთაო და პირდაპირ კენჭის ყრის წინააღმდეგი შეიქმნა და ამის გამო დაშორდა ხალხის უმეტესობას. ამ დაშორებას ზოგან შეტაკებაც მოჰყვა. ახლა ჯარი ცენზიან ბურჟუაზიის ხელში იყო და ხალხის უცენზო ნაწილის სისხლი დაიღვარა ქუჩებში.

მაგრამ, ამის მიუხედავად, როდესაც შემდეგ მთავრობა ეცადა შეეშალა ხელი წარმომადგენლობის შემოღებისთვის გერმანიაში, უცენზო ხალხმა გადასწყვიტა ბურჟუაზიასთან შეერთება და ძალით მოპოვება ხსენებულ უფლებისა...

ცენზიანები პირდაპირ რევოლიუციას გაურბოდნენ და გადასწყვიტეს, უბრალო წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობისთვის და საამისოდ გადასახადებზე ეთქვათ უარი, თუმცა ამ ზომამ, რასაკვირველია, ვერ შეაშინა მთავრობა...

პირიქით, მთავრობამ მოახერხა სოფლის მემამულეთა მომხრობა და ქალაქის მემამულეებთანა და მექარხნეებთან შეერთება ხალხის საწინააღმდეგოდ.

ამ შეერთების საშუალებით პრუსიის მთავრობამ, რომელსაც სრულებითაც არა სდომებია ბატონობაზე ხელის აღება,—მოახერხა კიდეც ამ ბატონობის შერჩენა...

მთავრობამ მხოლოდ ის დაუთმო ხალხს, რისი დაუთმობლობაც არ შეიძლებოდა, დაუთმო მინიმუმი, დაუთმო ძალა-უნებურადაც...

ამიტომ განზე დატოვებულმა ხალხმა გადასწყვიტა ხელახლად მოეკრიფა ძალ-ღონე ბრძოლისათვის, რომ ძალით მოეპოვებინა მთავრობისაგან ეს უფლებანი, რომლის მოპოვებაც უბრძოლველად შეუძლებელი გამოდგა...

—*.

მამების ქვეყანა

(გუსევ-ორენბურგსკის მოთხრობიდან).

ამხანაგობა „ზნანიეს“ მეოთხე კრებულში, სხვათა შორის, მოთავსებულია ბ-ნ გუსევ-ორენბურგსკის მოთხრობა „მამების ქვეყანა“.

ამ მოთხრობაში გამოყვანილია ძველი და ახალი თაობა თანამედროვე რუსეთში. ამ ორ თაობას ერთმანეთში ძლიერი ბრძოლა აქვს, ეტყობა აშკარად, რომ გამარჯვება შერჩებათ ახლებს, მაგრამ ძველები ჯერ არ ცხრებიან, არ უნდათ, დაუთმონ ასპარეზი ახალ თაობის განვითარებას.

აი, ამ მოთხრობის შინაარსი: ერთ დროს მდიდარი ქიტნიცკის მაზრა გაღარიბდა და გაღარიბებულ სოფლებში ფეხი მოიკიდეს ჩარჩ-ბაცაცებმა,—იმ თავისებურმა ბურჟუაზიამ, რომლის მოქმედებას მოჰყვა ხალხის ზედმეტი შევიწროვება და ბოლოს მისი გამოფხიზლება და ბრძოლა ადამიანის განსათავისუფლებლად ამ ბურჟუაზიას ეკუთვნის ვაჭარი შიროკოზადოვი, რომელიც დღე და ღამე ფულის შოვნაზე ჰფიქრობს. ვაჭარი ავიწროვებს სოფელს, მაგრამ ახლა სოფელი ვეღარ იტანს შევიწროვებას და აჯანყებას ადგება.

გლეხების მეთაურად გამოდის ახალგაზრდა სოფლელი ნაზარი,—ახალი თაობის წარმომადგენელი,—მხნე და გაბედული ადამიანი.

აჯანყებულების საწინააღმდეგოდ მთავრობამ ჯარი გაგზავნა,—ნახევარი ამ ჯარში აგიტაციას ეწევა და ჯარის კაცები პირობას სდებენ,—აღარ ესროლონ სოფლელებს...

ჯარი, მართლაც, არ ისვრის, მაგრამ აჯანყებას მაინც აჩერებენ თოფის უსროლელადაც და ნახევარსაც ატუსაღებენ.

ახალი აზრები თანდათან ვრცელდება სოფელში და იქ, სადაც წინად სრული მყუდროება სუფევდა, გამოფხიზლებული ხალხი მოითხოვს თავისუფლებას, თანასწორობას.

თვით ვაჭარ შიროკოზადოვის ოჯახში ირღვევა ძველებური წესები,—მისი ქალი-შვილი,—„დემოკრატიულ მიმართულებას“ ადგია. ენატრება საქმე, მომავალს ეტრფის.

„გესმით ბრძოლის ხმა,—იძახის ქალი,—ხომ ხედავთ ხალხის გამოფხიზლებას!

„ცხოვრებაში ყველაფერი მოძველდა, მოლპა, მოძველდა ტყუილის ფესვებიც. ძველი წესების მომხრეები ცდილობენ შეურჩინონ მათ არსებობა. ამ ძველ წესების ბრწყინვალებისთვის საჭირო არიან მუშები,—ისინი ჰქმნიან სხვებისთვის სიმდიდრეს. ამ ძველ წესების გასაძლიერებლად საჭირო არიან ჯარის კაცები, მათი ზარბაზნები და ხიშტები ამ წესებისთვის არსებობს ბირჟა და ბანკები,—იმათივე მოსამართლე და მღვდლებიც... ეს საყოველთაო სიცრუე... უნდა დავარღვიოთ ახლავე!.

„უნდა დავარღვიოთ ჩვენ, რომელთაც გვეჯავრება ამ ქვეყნად გაბატონებული სიცრუე, ვისაც ენატრება აშკარა ბრძოლა. ჩვენ უარვყავით მამების შემცდარი შეხედულება, ჩვენ გვინდა,—ერთმანეთში გათანასწორდეს მდიდარი და ღარიბი, მონა და არისტოკრატი! ჩვენ მომავლის მზეს ვეთაყვანებით. ...ჩვენ... დემოკრატები ვართ“!

ქალის საქმრო, მამა ვიქტორის შვილი, სტუდენტი მიტოც დემოკრატიულ მიმართულებას ადგია, მხოლოდ მის დემოკრატობას ცოტათი განსხვავებული ელფერი ეტყობა.

მისი მამა, მღვდელი ვიქტორი, ძველ წყობილების მომხრეა.

— მართლმადიდებლობა! თვითმპყრობელობა! —ეს არის ჩვენი ცხოვრების დედა-ბოძიო და უმთავრესად კი მართლმადიდებლობაო! რამ შექმნა ძლიერი რუსეთი? რამ დაამყარა რუსეთში თვითმპყრობელობა?—მართლმადიდებლობამ! რუსეთი ყოველთვის ადგა მართლმადიდებლობას და მის დახმარებით შეიძინა ძლიერება, სახელი, სიწმინდე! ძლიერი, უძლეველი იყო რუსეთი, მანამ შიგ მრავლად იყო მონასტერ-ბერები, ვინაიდან ეკლესია ჰქმნიდა განათლებას და ძლიერებას... სახალხო სასწავლებლები, გიმნაზიები, უნივერსიტეტებიც კი სასულიერო წოდების ზედამხედველობას უნდა დაუმორჩილოს მთავრობამ“.

„სტყუით! სტყუით!!—მიუგო სტუდენტმა. რა გინდათ სასწავლებლებთან? რა უნდა ასწავლოთ? გონების მონობა ციური ჭეშმარიტება გგონიათ, ცხოვრების სიცრუე მიგაჩნიათ უდიდეს სიმართლედ!

„ახალი წესწყობილება სრულებით მოსპობს თქვენიანების ხსენებას დედამიწაზე,—ცხარობდა მიტო,—მხოლოდ ისტორიაში შავ ფურცლებზე იქნება ჩამოთვლილი თქვენი საზარელი ამბები! ქვეყნის მარილი კი არა—წუმპე ხართ... ტალახი!

„თქვენი გონება, თქვენი სვინიდისი დამონებული ყოფილა ყოველთვის! თქვენ გიყვართ თქვენივე მონობის ბორკილი! მუხლმოდრეკილი თქვენსავე მტარვალებს ემსახურებით!

„თქვენ მონები ხართ!! და გინდათ სხვებიც აქციოთ მონებად! მაგრამ არა, ვერ მოახერხებთ! გამოფხიზლდება ადამიანი!.. გამოფხიზლდა კიდეც აქა-იქ! ხომ გესმით პროტესტის ძლიერი ხმები, თავისუფალი, ძლევა-მოსილი... მალე დაინსხვრევა მონობის ბორკილი! მოვლენ სიმართლის მქადაგებელნი... და თქვენი სახელიც გაწყდება!..

„ჯერ კიდევ მონურად ქედს ვიხრით, არ ვცდილობთ, რამენაირად მოვიშოროთ თავიდან სამარცხვინო უღელი, უკრიტიკოდ, უპროტესტოდ ეჩვევოდა მონურ აზროვნებას ადამიანი, მონებად გადაიქცა ხალხი!“

„წყეულმც იყოს ცხოვრების ის პირობები, რომელიც გვიკრძალავს სიცოცხლის სურვილს, გვიხშობს გატაცებას და მონობის კალაპოტში აყენებს ჩვენს აზროვნებას! წყეულმც იყვნენ ამ პირობების შემქმნელი მტარვალებიც!“

«დრო არის ცხოვრების ახალი პირობები შევქმნათ .. დრო არის გავანთავისუფლოთ საზოგადო ძალები! ბრძოლის დრო დადგა! გამარჯვება ან სიკვდილი! ეს ბრძოლა იდეალია! მიიღეთ ეს იდეალი, მოემზადეთ ჩაგრულთა განსათავისუფლებლად ბრძოლისთვის,—თქვენც მიიღეთ მონაწილეობა დიდებულ მომავლის შექმნაში!.. მიწა გაჟღენთილია ცრემლითა და სისხლით... მეტის ატანა არ შეუძლიან... ძნელი შეიქმნა სუნთქვა... და აგერ, აგერ პირსაც გააღებს დედა-მიწა და საშინელი ცეცხლი მოედება ქვეყანას!..»

დიდის ხელოვნებით არის აწერილი მოთხრობაში გაფიცვა.

მამა იოანე შეშინებული ხედავდა, როგორ ივსებოდა ქუჩები ხალხით. მუშები თავს იყრიდნენ და ნელის ნაბიჯით მიდიოდნენ ქუჩაში. წინ აფრიალებული დროშა მიჰქონდათ, ჰაერში ახალ სიმღერის ძლიერი ჰანგები ისმოდა.

პოლიციელები აქა-იქ დარბოდნენ. მოვიდა პოლიცმეისტერი, გაისმა ჯარის უფროსის ბრძანებაც...

მამა იოანემ ერთ დროშაზე წაიკითხა წარწერა და შეკრთა... შეშინებულმა აქეთ-იქით მიიხედა, თითქო პირველად უკვირდებოდა ცხოვრების ახალ მიმართულებას. ასე ეგონა, რომ მის გულში ახალმა გრძნობამ იჩინა თავი, ძალა-უნებურად იმონავებდა მის არსებას ხალხის გაბედული სიმღერა.

ხედავდა რაღაცა ძალას, რომელიც წინად ცხოვრებაში არ სჩანდა არსად, ძალა—მისთვის გაუგებარი და საშინელი.

და აი, ამ ახალ აზრების გავლენით, მამა იოანემ ბოლოს გადაწყვიტა, რომ უნდა გაიხადოს ანაფორა... და შეუერთდეს იმათ, ვისი გავლენითაც დაადგა ახალ მიმართულებას.

ამავე მოთხრობაშია აწერილი გლეხების აჯანყებაც, როდესაც შიროკოზადოვის დაბეზღებით დაატუსაღეს გლეხების რამოდენიმე მეთაური და, სხვათა შორის, ნაზარიც. გლეხებმა გაანთავისუფლეს დატუსაღებულები, ამ საქმეში გამარჯვებული გამოდგნენ.

ბოლოს, მთელი მოთხრობა თავდება იმითი, რითაც თავდება ხოლმე ყველაფერი—ჟანდარმების მოსვლით მამა ვიქტორის სახლში, სადგომის გაჩხრეკით...

რუსეთი

21 აპრილი ვარშავისთვის გლოვის დღე იყო, ასე სწერს ოფიციალური გაზეთი «ვარშ. დნევ»-ი. ამ დღეს სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს, 18 აპრილს დახოცილთა პატივსაცემად საერთო გაფიცვა მოეხდინათ. ამით უნდოდათ პროტესტის გამოცხადება და გლოვა. დილითვე ვარშავაში არც ერთი ქარხანა და სახელოსნო არა მუშაობდა. ტერორისტები დილიდანვე დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა, მეეტლებსა და ტრამვაის აჩერებდნენ, შინ გზავნიდნენ, შედიოდნენ დუქნებსა და მაღაზიებში და დაკეტვას თხოულობდნენ. მედუქნეები და მაღაზიების პატრონები დაუყოვნებლივ ასრულებდნენ ამ ბრძანებას. მაღაზიებში უწვერულვაშო ახალგაზდებიც დადიოდნენ და მოხუცნი, ინტელიგენტები და არისტოკრატებიც. მალე მთელ ქალაქში მყუდროება და სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დღეს რამდენიმე პატარ-პატარა შეტაკება იყო. დემონსტრანტებმა რამდენიმე ვაგონი გადააბრუნეს, ტრამვაის ლიანდაგი გააფუჭეს და აქა-იქ ბარიკადების გაკეთებაც სცადეს, მაგრამ საერთოდ ამ დღემ, 18 აპრილთან შედარებით, მშვიდობიანად ჩაიარა. რამდენიმე კაცი დაიჭირა. იმავე დღეს, საღამოს 10 საათზე, უცნობმა სალდათებს ყუმბარა ესროლა და მიიმალა. ყუმბარა არ გასკდარა (ნ. დ.).

◆ უკანასკნელ დღეებში ვარშავაში აუარებელი **ხალხი თხოულობს წითელ ყელსახვევსა და ლენტებს.** ლენტებს ქალები მარჯვენა მკლავზე იკეთებენ და ისე დადიან. იმოდენა ქალაქში თურმე აღარც ლენტებია და აღარც ყელსახვევები (წითელი ფერისა), სულ დაუყიდნიათ (რ. ვ.).

◆ ნოვოროსისკში ერთ მთვრალს, კაზაკის აფიცერს ქუჩაში ახირება დაუწყვია: ყველას ლანძღავდა, რევოლვერს ისროდა და სხ. ხალხი იმდენად აღშფოთდა, რომ ვეღარ მოითმინა და აფიცერს გარს შემოერტყა. აფიცერი ერთ სახლში შევარდა. **სახლს რამდენიმე ათასი კაცი მიადგა და აფიცრის დასჯა უნდოდა**, მაგრამ აფიცერმა მეორე კარით გაპარვა მოახერხა და თავს უშველა (ჩ. პ.).

◆ ლომჟაში, აპრილის 23, **დიდი დემონსტრაცია ყოფილა.** ამ დღეს ქალაქის ყოველ უბანში დემონსტრანტებმა წითელი დროშა ჩამოჰკიდეს. დროშებზე ეწერა: „გაუმარჯოს თავისუფლებას“! „გაუმარჯოს თავისუფალ პოლონეთსა„! და სხვა. ქუჩები ახალგაზდობით აივსო. მამაკაცებს ზოგს წითელი ყელსახვევი ჰქონდა, ზოგს წითელი ბანტი. ქალებს მკლავებზე წითელი ლენტები ერტყათ. დემონსტრანტებმა ყველა მაღაზიები დააკეტინეს. ქალაქის განაპირა უბანში, სადაც 1864 წელს აჯანყებული პოლონელები დახვრიტეს, დემონსტრანტებმა ჯვარი დადგეს. ჯვარზე ეწერა: „სამშობლოსთვის თავდადებულთ“. ამ ჯვართან ხალხი შეიკრიბა სარევოლუციო სიმღერებით. იქითვე წავიდა დემონსტრანტების ერთი ჯგუფი, რომელიც დრაგუნებმა უკანვე მოაბრუნეს. შემდეგ აუარებელი ხალხი შეიკრიბა სასაფლაოზე, სადაც პოლონეთის ეროვნულ ჰიმნს—„ჩერვონი შტანდარტ“-ს—მღეროდა და 1794 წლის კონსტიტუციის დღესასწაულობდა. სასაფლაოს ჯარი შემოარტყეს. ბავშვები და ქალები გამოუშვეს, მამაკაცები კი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის ბევრი ინტელიგენტია. გუბერნატორის ბრძანებით, პოლიციამ ჯვარი და წითელი დროშები მიმალა (რ. ს.).

◆ 22 აპრილს ვარშავის მუშებმა 18 აპრილს დახოცილთა პატივსაცემლად **არ იმუშავეს.** ამისთვის რკინის გზის მუშები დათხოვნილ იქმნენ. (რ. ს.).

◆ კურსკისა, ტამბოვისა, ხერსონისა და ბესარაბიის გუბერნიებში **გლეხთა მოძრაობა დაიწყო.** ყველგან ჯარი გაიგზავნა (რ. ვ.).

კორესპონდენცია

ს. ჯიმითი (სიღნაღის მაზრა). არა მგონია, სიღნაღის მაზრაში უმიწაწყლოდ სხვა რომელიმე სოფელი ისე იყოს შეწუხებული, როგორც ს. ჯიმითია. ეს სოფელი სამი მხრიდან შემოფარგლულია თ.თ. ანდრონიკაშვილების მამულებით, მეოთხე მხარეს ს.ს. ჭერემ-ახაშენით. აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ს. ჯიმითი თთ. ანდრონიკაშვილებმა შეაწუხეს, დასავლეთით კიდევ ახაშენ-ჭერემელებმა. ეს თავადები ისე გაჯიბრდნენ ერთმანეთს, რომ ს. ჯიმითის მიჯნები ზედ სახლის კარებზე ჩაუგდეს. ზევიდან გამოაბოტა ჭერემის ხევს ს.ს. ჭერემმა და ახაშენმა, გაუგდეს ხელი და გაანადგურეს მშვენიერი და მთელს მაზრაში სახელგანთქმული მთა. უფრო დიდი შეწუხება და მწუხარება მიაყენა თურმე სოფელს აწ განსვენებულმა და გუბერნატორად ნამყოფმა ი. მ. ანდრონიკაშვილმა. იმან ჩამოაცალა ს. ჯიმითის სოფლის მრჩენელ-მაცხოვრებელი და ნაყოფიერი სახნავ-სათესი მინდორი, ცნობილი „ბადიაური“, სადაც გაჰქონდა მშვენიერი და დიდ-შემოსავლიანი წისქვილები. ისედაც ფრთა-შეკვეცილ ს. ჯიმითს უფრო დონივრად შეაკვეცა ფრთები იმ ტყე-მინდვრების შევიწროებით, რომლიც მამა-პაპით მათ ეკუთვნოდათ, და დარჩა მთელი სოფელი გულხელ-დაკრეფილი, ხარჯები კი ემატებოდა, რამაც ძლიერ გაადარიბა ეს უბედური ხალხი. ს. ჯიმითზე აღნიშნულია სახნავ-სათიბითა და გზა-მიდამოებით სულ 2117 დესეტინა მამული. მაგრამ სად არის ეს მიწები ან ამათი საზღვარი? ეს მარტო ღმერთმა უწყის; სოფელი კი დადის და შესჩივის ყველას თავის გაჭირებას და ემუდარება: „გვიშველეთ, გვიჩვენეთ ჩვენი მთაბარის საზღვრებიო“ და სხვა. „ბადიაურის“ დაბრუნებაზე ბევრი საჩივარი იყო აღძრული და ბევრი ფულიც დაიხარჯა, მაგრამ ვინ იყო გამგონი, ან პატრონი, ან შემბრალებელი?

არც ტყის გაჩეხვამ და მისმა სხვისგან მითვისებამ დააყარა ხეირი ჯიმითელებს. ტყის დავიდარაბამ „ებზეგუცია“ ჩაუყენა და, მძლავრ ფეოდალების წყალობით, 12 კაცსაც ციმბირში თავი ამოაყოფინა.

ს. ჯიმითმა არ იცოდა და არც ახლა იცის, სადამდინ ან რამდენი მიწა აქვს, ანუ მისი სავრცე-სივრცე და რამდენი აქვს იმათ მთა-მინდორს ზომა, ან საიდან ეცოდინებათ ამ საცოდავებს, რომ ერთი როგინი წერა-კითხვის მცოდნე კაცი არ მოეძევებათ?

ს. ჯიმითი იყო მცხეთის განთქმულ სობოროს უმა და მამულიც, რასაკვირველია, მას ეკუთვნოდა. მე მგონია, ეკლესიის გამგეთ უნდა სცოდნოდათ ს. ჯიმითის მთა-ბარის რაოდენობა და მიჯნები. ამას წინად ს. ჯიმითის საზოგადოებამ ორი კაცი—გ. შავლიაშვილი და დუკას დუკასოვი მთა-მინდვრის გეგმის მოსატანად გაგზავნა, მაგრამ, როგორც მე იპონიის მეფის მიკადოს ენისა არა მესმის-რა, ისე იმათ გეგმისა ვერა გაიგეს-რა, და ხელცარიელები დაბრუნდნენ.

ახლა საზოგადოდ ყველგან და ყველა სოფლის გამოღვიძებასთან მძინარა სოფელ ჯიმითმაც გამოიღვიძა. სხვადასხვა მოთხოვნილებასთან, სხვათა შორის, სოფელმა მოითხოვა თავისი მამა-პაპეული მამული „ბადიაური“, მარამ ნებით არავინ მისცა და სოფელმა გადასწყვიტა ძალით დაიბრუნოს თავის კუთვნილი სახნავ-სათესი მამული. და აი, აპრილის 15-ს, გამოუცხადა ბოქაულს თავის გულის წადილი. ბოქაული დაუპირდა ხალხს: ძალმომრეობა რა საკადრისია, მაზრის უფროს მოველაპარაკები და ვნახავთ, რას გირჩევთო. ხალხმა ერთ-ხმად შეჰღაღა—დაგვხოცეთ კაცით-დედაკაცითა და ჩვენ კი აღარ შეგვიძლიან ცხოვრებაო. ჩვენ ჩვენსას ვთხოულობთ, სხვის საკუთრებას ვიჩემებთო და სხვა. ორიოდ დღის ლოდინის შემდეგ, იგრიალა ხალხმა და გაემგზავრა ბადიაურისკენ, მთელი ორი სოფელი—ჯიმითი და ყანდაური—(ყანდაურელებსაც წილი სდებიათ ბადიაურში) წავიდა ბადიაურზე, დიდი და პატარა, კაცი და დედაკაცი, საქონლით ხარ-გუთნით. დინჯად და ჭკვიანად დაითხოვეს იქ მყოფი მოიჯარადრენი და თითონ შერეკეს თავიანთი საქონელი საძოვრად და გუთნებით დაუწყეს ხვნა მიწებს, როგორც ს. ჯიმითმა, ისე ს. ყანდაურმა. ეს ამბავი შეატყობინეს მაზრის უფროსს, რომელიც მაშინვე გაემგზავრა ასიოდე დრაგუნით და, აი, დღესაც იქ არიან. ხალხი არ გამოდის და, ვნახოთ, რა მოხდება. ეს კია, რომ ხალხი ძლიერ ერიდება ჩხუბსა და დავიდარაბას.

ზიანხლებიც დაერივნენ მეზობლების სათიბ-საძოვარ მამულებს. ბადიაური დაგირავებულია ბანკში და ხალხი ამბობს: ჩვენ გადავიხდით იმ ვალებს, ოღონდ დავიდარაბას ნუ შეგვამთხვევთო. ვნახოთ, რით გათავდება.

ქართველი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! მართალია, თქვენს გაზეთში (№ 56) გამოცხადებულია, რომ სამუდამოდ სპობთ კამათს ცნობილის „სამების“ „მოღვაწეობის“ გამო, მაგრამ შეუძლებლია ადგილი არ მისცეთ ჩემს წერილს, რათა საშუალება მომეცეს თავიდამ ავიცილო ცილისწამება „ცრუმოწმობისა“, რომელიც თავზე მომახვიეს მ. მაჩაბელმა ექიმმა გაბაევმა და ნაფ. ვექ. ჯაბადარმა. „სამება“ უარსა ჰყოფს,—კერძო კრებაზე 26 მარტს სიტყვა არ მიგვეცია არავისათვის, „ავტონომიის წინააღმდეგ არა ვილაპარაკოთ-რა საგანგებო კრებაზე და ყოველის ღონით ვეცადოთ მის გაყვანასაო. მე კი ვამბობდი, რომ მათ სიტყვა მისცეს კერძო კრებაში მონაწილეობის მიმღებთ და, იმედია, ამას დაამოწმებენ დამსწრენი: თ. ილია ჭავჭავაძე, ექიმი ვირსალაძე, პ. ყიფიანი, ალ. ყანჩელი და ივ. ზურაბიშვილი. თ. ილია ჭავჭავაძესა და პ. ყიფიანთან ლაპარაკიც მქონდა ამის შესახებ,—რით აიხსნება ამგვარი უცნაური აღთქმამეთქი, ხოლო ბ. ზურაბიშვილმა დიდის ეჭვითაც შეხედა „სამების“ აღთქმას. ან რა ინტერესი იქნებოდა ჩემთვის ეს ფაქტი შემეთხზა,—„ეხლანდელი მოღვაწეობა“ „სამებისა“ სრულიად საკმარისია მისი ზნეობრივის კოტრობისა და საბუთად კიდევ მეტი ცოდვა რაღად უნდა დამეკისრებია მისთვის. შესაძლოა, არც ერთ ზემოხ ენებულ პირს არ ახსოვდეს „სამების“ აღთქმა, მე მაინც ვამბობ, ეს ასე იყო, ხოლო თუ მართლა არავის დაამახსოვრდა,—ეს ფაქტი ამტკიცებს მის შორს გამჭვრეტელობას. მაგ ვაჟბატონების არავის არა სჯეროდა-რა და უთუოდ მათ ლაპარაკსაც ყურადღებას არავინ აქცევდა. მართალია, მეც, კარგა ხანია, ვიცნობ მ. მაჩაბლისა, ექიმის გაბაევისა და ნაფ. ვექ. ჯაბადრის „საზოგადო მოღვაწეობას“, მაგრამ ვსცოდე, რამეთუ ვიფიქრე,—იქნება დღევანდელმა დიდძალმა მომენტმა ეგენიც გარდაქმნა-მეთქი. „უნიის“ შესახებ ლაპარაკი თუ იყო იმ საღამოს, რაღ უნდა მიმეღო საშიშრად? „უნია“ თავის თავად მოხდა რუსეთსა და საქართველოს შორის, ზოგი ძალ-დატანებით, ზოგი როგორღაც „რეალურადაც“. რუსეთის სახელმწიფოს ისტორიულ უფლებებს საქართველოზე, თანახმად ტრაქტატებისა, არავინ იმათგანი არა ჰყოფს უარს, ვისაც ჩვენი „ისტორიული უფლებები“ „მისტიურ“ უფლებად არ მიაჩნია. ამის შესახებ ლაპარაკიც კი მეტია. ნაფიც ვექილს მაინც უნდა ესმოდეს, რომ ავტონომია ქართველის ერისა არ შეიცავს არავითარ წინააღმდეგობას ორ ერთა „ისტორიულ უფლებებისას“.

კიტა აბაშიძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

30 აპრილი.

ტოკიო. მინისტრ-პრეზიდენტსა და გარეშე საქმეთა მინისტრს წარუდგნენ პროგრესიულ დასის წარმომადგენელნი, რომ ყურადღება მიაქციონ დასის რეზოლიუციას საფრანგეთის მოქმედების გამო. ვაჭრობის მინისტრმა სთხოვა სავაჭრო პალატას, ჯერ ნუ დაადგენ რეზოლუციას საფრანგეთის ვაჭრობის შეწყვეტის შესახებო. ამბობენ, კუნძულ ხაინანთან რუსის ოთხი სამხედრო გემიაო.

ჩიფუ. რეიტერი ადასტურებს იმ ამბავს, რომ იაპონიის 1800 ტონიანი გემი „შეუძუმარუ“, ნიუ-ჯუანისკენ მიმავალი, კუნძულ მაიტაუსთან ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. შესაძლოა ამის გამო მოისპოს საბარგო გემების მიმოსვლა იაპონიასა და ნიუ-ჯუანს შორის.

ტოკიო. ოფიციალურად გამოცხადდა სამხედრო დებულების შემოღება კუნძულ ფორმოზაზე.

მანილა. იაპონიის გემმა „ხიტაშიმარუმ“, რომელიც კრეისერად გადაკეთდა, ოთხშაბათს, პერნკამის კუნძულებთან ინგლისის გემი „დორიკი“ შეაჩერა. როგორც ეტყობა, ამ კუნძულებთან ბევრი სამხედრო გემი უნდა იყოს.

ტოკიო. მღელვარება საფრანგეთის წინააღმდეგ ცოტად გაძნელდა.

ნიკოლაევსკი. მეზღვაურები ფიქრობენ, როჟესტვენსკი თავის ესკადრის სადგომად ნიკოლაევსკს აირჩევსო.

პარიზი, 29 აპრ. დელკასემ მიიღო მოტონო, რომელსაც ნახევარი საათი ესაუბრა. საუბრის საგანი გამოცხადებული არ არის.

ლიბავა, 29 აპრილი. დილის მატარებლით მოსულს ვილენის ოლქის ჟართა უფროსს ვაგონში რამდენჯერმე ტყვია ესროლეს. ორი ფანჯარა გატყდა. არავინ დაშავდა.

ლოძი, 29 აპრილი. სოციალ-დემოკრატები ცდილობენ, მუშათა საერთო გაფიცვა ხელმეორედ მოახდინონ. ბევრ მაღაზიებსა და ფაბრიკებში მუშაობა შესწყდა.

დვინსკი. ბოქაული კურლიანსკი მარცხენა მხარში დასჭრა ახალგაზდა ებრაელმა, რომელიც დააპატიმრეს.

რიგა, 22 აპრილი. ფაბრიკებში გაფიცვები კვლავ დაიწყო.

ჟიტომირი, 29 აპრილი. დაბა ტროვიანოვში ადგილობრივ გლეხებსა და ჩუდნოვოდან ჩამოსულ ებრაელთა შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია 9 ებრაელი, 1 დაჭრილი ჩქარა გარდაიცვალა, დანარჩენები გაიქც-გამოიქცნენ. სოფ. სინგურსხში ნაცემია ცხრა ებრაელი. მაზრიდან საავადმყოფოში 12 დაჭრილი ჩამოიყვანეს.

სოსნოვიცი, 29 აპრ. დომბროვში ქარხნებში მუშებმა მუშაობაზე ხელი აიღეს.

ლონდონი. გაფიცული მეჩექმეები დღეს ქალაქში შემოვიდნენ. ასი ვერსი ფეხით გამოუვლიათ და ყველგან დიდძალი ხალხი ეგებებოდა და თანაგრძნობას უცხადებდა. მეჩექმეებს პოლიციამ აუკრძალა, პარლამენტს ერთ მიღმზე ახლო არ მიეკარონო. დეპუტაცია კი, ათ მომუშავესაგან შემდგარი, საზოგადოებათა პალატაში მივიდა, მაგრამ მინისტრებმა არ მიიღეს.

პეტერბურგი, 29 აპრ. როგორც შევიტყვეთ, ამ ახლო ხანში მინისტრთა სხდომაზე განიხილავენ საკითხებს ებრაელთა საქალაქო თვითმართველობასთან დამოკიდებულებისას, სამხედრო ბეგრის მოხდისას და იმპერიის სხვადასხვა ნაწილში მათის ცხოვრების უფლებებს.

ლიბავა, 29 აპრ. გუშინ სადამოთი დაწყებული გაფიცვა დღეს დილით გაძლიერდა, მაგრამ შუადღის შემდეგ გაფიცვა შესწყდა. ღამისა და დილის მატარებლებმა გასვლა ვერ მოახერხეს. მუშებს ხელფასი მოუმატეს, მუშებისავე მოთხოვნილებით, მთავარი ოსტატი დათხოვნილია. ფაბრიკის მუშებმა მექარხნეებს გამოუცხადეს, რომ ხვალ შუადღისას დაიწყება გაფიცვა, რომელიც სამშაბათამდე გაგრძელდებაო.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**

გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 26 აპრილი 1905 წ.

სამ-თვიან ვექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	$5^1/_2$—$6^3/_4$%
4% სახელმწიფო რენტა	$84^6/_8$ ნის. გაყ.
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	377 წვ. გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$299^1/_4$ „
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	$268^1/_2$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	$215^3/_4$
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	9975 ნის. გაყ.

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი-

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავს
და საკაზმავ საქმეებს, რუსულ,
ქართულ, სომხურ და ფრანგულ
ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდომ ფასებში.

საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოდის მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე-წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.
ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე 3 მან., ნახევრის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კაპ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კ.
რედაქცია იმყოფება ალექსანდრს ქუჩ., № 5. სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამომც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
ფოსტის ადრესი.
Тифлисъ, редакція журнала“ НАКАДУЛИ“.

Дозволено цензурою, Тифлись, 30 апрѣля 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.